# ახალი განათლება

23-29.05.2019

№20 (854) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

# მნიშვნელოვანი წამოწყება, რომელსაც გარკვეული რისკ-ფაქტორების ახლავს

გვერდი 2



*შესაძლო რისკები უფრო იმ ბიუროკრატიულ მექანიზმებს უკავშირდება, რომელიც წარსულშივე არსებობდა სისტემაში და დღემდე შენარჩუნებულია. რეალურად, მიუხედავად სურვილისა და სწორი პოლიტიკური ხედვისა, შეიძლება მივიღოთ პრობლემები – სახელმწიფომ მასწავლებელთა საპენსიო ჯილდოს გაცემაში დახარჯოს თანხა, მაგრამ ვერ მიიღოს შედეგი, ანუ ვერ გავიდეს დასახულ მიზანზე. ამ შემთხვევაში, მიზანი ხომ ის არ არის, რომ მასწავლებლები პენსიაზე „გავუშვათ", ჩვენი მიზანია კადრების ჩანაცვლება მოვახდინოთ სისტემაში – შესაძლებლობა მივცეთ ახალგაზრდებს, შევიდნენ პროფესიაში, ხოლო დამსახურებული მასწავლებლები გავიდნენ სისტემიდან.*

*სწორედ ეს მიზანი შეიძლება ვერ შესრულდეს ან ნაწილობრივ – რაღაც კომპონენტში. შეიძლება მასწავლებლებმა აიღონ ჯილდო და გავიდნენ სისტემიდან, მაგრამ როტაცია რთული მისაღწევი იქნება.*

შალვა ტაბატაძე

## 2019 წლის საგნის/პროფესიული უნარების ტესტის მაქსიმალური ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა

| ტესტის ნაწილი | მაქსიმალური ქულა | საგამოცდო დრო |
|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 70 | 5 საათი |
| მათემატიკა | 52 | 5 საათი |
| გეოგრაფია | 59 | 5 საათი |
| ბიოლოგია | 63 | 5 საათი |
| ქიმია | 70 | 5 საათი |
| ფიზიკა | 70 | 5 საათი |
| ისტორია | 60 | 5 საათი |
| სამოქალაქო განათლება | 60 | 5 საათი |
| **უცხოური ენა** | **90** | |
| მოსმენის ნაწილი | 16 | 4 საათი |
| წერითი ნაწილი | 22 | |
| კითხვის ნაწილი | 36 | |
| მეტყველების ნაწილი | 16 | 15 წუთი |
| **დაწყებითი საფეხური (I-IV)** | **80** | |
| პროფესიული ცოდნა | 62 | 5 საათი |
| აკადემიური უნარები | 18 | |
| **ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI)** | **65** | |
| პროფესიული ცოდნა | 47 | 5 საათი |
| აკადემიური უნარები | 18 | |
| **მათემატიკა (I-VI)** | **65** | |
| პროფესიული ცოდნა | 47 | 5 საათი |
| აკადემიური უნარები | 18 | |
| **ბუნებისმეტყველება (I-VI)** | **65** | |
| პროფესიული ცოდნა | 47 | 5 საათი |
| აკადემიური უნარები | 18 | |
| **სახვითი/გამოყენებითი ხელოვნება** | **60** | 4 საათი |
| **ქართული, როგორც მეორე ენა** | **95** | |
| მოსმენის ნაწილი | 11 | 5 საათი |
| კითხვის ნაწილი | 28 | |
| წერის ნაწილი | 20 | |
| პროფესიული ცოდნა | 25 | |
| ლაპარაკის ნაწილი | 11 | 15 წუთი |
| **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** | **70** | |
| თეორიული ცოდნა | 35 | 1 სთ და 30 წთ |
| პრაქტიკული უნარ-ჩვევები | 35 | 2 საათი |
| **სპორტი** | **70** | 2 საათი 30 წთ |
| **მუსიკა** | **70** | 4 საათი |
| **პროფესიული უნარები** | **70** | 5 საათი |

### პროფესიული განათლება

## კერძო კოლეჯების ასოციაციის მეხუთე ფორუმი

გვერდი 3

### სამოდელო გაკვეთილი

## THE COMPARATIVE AND THE SUPERLATIVE ADJECTIVES

ნინოწმინდის სოფელ ფოკას საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგის, გაიანე პაპიკიანის მიერ VII კლასში ჩატარებული გაკვეთილი

გვერდი 4




### ლიტერატურული სალონი

## საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება

გვერდი 8

აქტუალური თემა

# მნიშვნელოვანი წამოწყება, რომელსაც გარკვეული რისკ-ფაქტორების ახლავს



*გასულ კვირას განათლების სამინისტრომ გააჟღერა ინიციატივა, რომელიც საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის, პენსიაში გასვლის სანაცვლოდ, ჯილდოს სახით, ორი წლის ოდენობის ხელფასის შეთავაზებას გულისხმობს. სამსახურიდან წასვლის მექანიზმი, რომელიც 11 ათასამდე მასწავლებელს შეეხება, ნებაყოფლობითია, თუმცა, თუკი ამ რაოდენობის მასწავლებელი, სკოლაში დარჩენისა და პროფესიულ განვითარებაში ჩართვის ნაცვლად, ერთჯერადი თანხის მიღებას ამჯობინებს, ბუნებრივია, ეს სისტემაში მასწავლებლთა დეფიციტს შექმნის. არის თუ არა სამინისტრო მზად, 11 ათასი მასწავლებელი ახალი კადრებით ჩაანაცვლოს?*

*მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბერიკა შუკაკიძე აცხადებს, რომ: „თამამი ნაბიჯის მიუხედავად, რომელმაც შესაძლოა, დეფიციტი შექმნას რომელიმე სკოლაში, მზად ვართ, ამ გამოწვევას ვუპასუხოთ.*

*საქართველოში მიჩვეულები ვართ, სტატისტიკისა და ციფრების გარეშე, არგუმენტებით მსჯელობას, რაც ვფიქრობ, არასწორია. ჩვენ მომზადებული გვაქვს საკმაოდ კარგი მოდელირება იმისა, რომ საათების შეთავსებით შევამციროთ მასწავლებელთა დეფიციტი. ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ იქნება 11 ათასი პედაგოგის საჭიროება, მეორეც – გვყავს მასწავლებლები, რომლებიც ვერ საქმდებიან პროფესიაში მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ წლების განმავლობაში სკოლებში ვაკანსიები არ იქმნებოდა. თამამ გადაწყვეტილებას წინ საკმაოდ კარგი სიტუაციური ანალიზი უძღოდა, არა მარტო რეგიონის მიხედვით, არამედ ქვეყნის მასშტაბით – 2083 საჯარო სკოლის მიხედვით, ჩვენ გვაქვს მონაცემები არა მხოლოდ რეგიონის ან რაიონის, არამედ კონკრეტული სკოლის, საგნისა და საკლასო ოთახის მიხედვით.*

*ბუნებრივია, პრობლემა შეიძლება შეგვექმნას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და მაღალმთიან რეგიონებში, მაგრამ ამ დეფიციტის აღმოფხვრას სპეციალური პროგრამით შევძლებთ, რომელსაც ეროვნული ცენტრი სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს.“*

*ინიციატივაში გარკვეულ რისკებს ხედავენ სპეციალისტები, რადგან ფიქრობენ, რომ რეალურად, ქვეყანაში ათასობით ჩასანაცვლებელი კადრის პოვნა სისტემას გაუჭირდება და ამ პრობლემის გადასაჭრელად, შესაძლოა, ისევ პენსიაზე გაშვებული მასწავლებლების დაბრუნება დასჭირდეთ ან ეს საათობრივი გადანაწილების ხარჯზე შეძლონ. ახალი კადრების შეყვანა კი ისევ პრობლემად დარჩება, მით უფრო, როცა პროფესიაში შესვლის გზები ისევ არსებული რეგულაციებით და ისევ გართულებულად მოხდება.*

*საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლების პენსიაში გასვლის რისკებსა და ინიციატივის პოზიტიურ მხარეებს განიხილავს ჩვენს ინტერვიუში სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე, რომელიც სამინისტროს ინიციატივას ძალიან სარისკო, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვან წამოწყებად აფასებს, რომელსაც გარკვეული რისკ-ფაქტორებიც ახლავს.*

**– როგორ აფასებთ საპენსიო შეთავაზების ინიციატივას და რა რისკებს ან პოზიტიურ შედეგებს განიხილავთ?**

– ინიციატივას ძალიან პოზიტიურად ვაფასებ იმიტომ, რომ პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით გადადგმული. ამ კონკრეტული ნაბიჯებით, სამინისტრომ დაიწყო ფიქრი და მოძრაობა, შეიძლება ძალიან სარისკო, მაგრამ მათი მხრიდან მასწავლებელთა კორპუსში ცვლილებების სურვილი გაჩნდა. ამიტომაც არის ეს ინიციატივა მნიშვნელოვანი.

შესაძლო რისკები, უფრო იმ ბიუროკრატიულ მექანიზმებს უკავშირდება, რომელიც წარსულშივე არსებობდა სისტემაში და დღემდე შენარჩუნებულია. რეალურად, მიუხედავად სურვილისა და სწორი პოლიტიკური ხედვისა, შეიძლება მივიღოთ პრობლემები – სახელმწიფომ მასწავლებელთა საპენსიო ჯილდოს გაცემაში დახარჯოს თანხა, მაგრამ ვერ მიიღოს შედეგი, ანუ ვერ გავიდეს დასახულ მიზანზე. ამ შემთხვევაში, მიზანი ხომ ის არ არის, რომ მასწავლებლები პენსიაზე „გავყაროთ“, ჩვენი მიზანია კადრების ჩანაცვლება მოვახდინოთ სისტემაში – შესაძლებლობა მივცეთ ახალგაზრდებს, შევიდნენ პროფესიაში, ხოლო დამსახურებული მასწავლებლები გავიდნენ სისტემიდან.

სწორედ ეს მიზანი შეიძლება ვერ შესრულდეს ან ნაწილობრივ – რაღაც კომპონენტში. შეიძლება მასწავლებლებმა აირჩიონ ჯილდო და გავიდნენ სისტემიდან, მაგრამ როტაცია რთული მისაღწევი იქნება. ბევრ რისკ-ფაქტორს ვხედავ.

პირველი – ჩემი აზრით, დიდია იმის ალბათობა, რომ საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებელი თუ სკოლიდან წავა, მის საათებს, ახალი კადრის შემოსვლის ნაცვლად, იმავე სკოლის მასწავლებელი დაიკავებს/შეითავსებს, რადგან საათების გადანაწილების პროპორცია და, ზოგადად, სრული განაკვეთის მქონე მასწავლებლების რაოდენობა სკოლებში ცოტაა – დაახლოებით, 50 პროცენტი. ამიტომ, სკოლიდან წასული საპენსიო ასაკის მასწავლებლების დეფიციტის შევსება, შეიძლება საათების გადანაწილებით მოხდეს. ამ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული არ იქნება, რადგან ახალი მასწავლებელი სისტემაში ვერ შევა.

მეორე – შესაძლოა, ფიზიკურად არ არსებობდეს სკოლაში ჩამნაცვლებელი მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, სკოლას ისევ იმ საპენსიო ასაკის მასწავლებელთან მოუწიოს კონტრაქტის გაგრძელება. ეს საფრთხეები ცალსახად არსებობს არაქართულენოვან, მაღალმთიან და მცირეკონტინგენტიან სკოლებში. შესაბამისად, შემიძლია ვთქვა, რომ არაქართულენოვან სკოლებში, სადაც, დღეის მონაცემებით, 2500 საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებელია, თუ ყველამ ისურვა პენსიაზე გასვლა და მოითხოვა საპენსიო ჯილდო, მათ სამინისტრო ახალი კადრებით ვერ ჩაანაცვლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლები მასწავლებლების გარეშე დარჩებიან ან არსებულ მასწავლებლებს მისცემენ დამატებით საათებს (ამის პრაქტიკა არსებობს). თუ ავიღებთ რეალობას, სკოლებში გვყავს ისეთი მასწავლებლები, რომლებიც 6-7 საგანს ასწავლიან, თან აბსოლუტურად რადიკალურად განსხვავებულ საგნებს. მათ კიდევ დაუმატებენ ერთ ან ორ საგანს, ან ისევ პენსიონერ მასწავლებელს გაუგრძელებენ კონტრაქტს, ვიდრე ახალი კადრი არ გამოჩნდება, ამით პრობლემა არ მოგვარდება და ეს თავის მოტყუება იქნება.

ახალი კადრებით არაქართულენოვან მასწავლებელს ვერ ჩაანაცვლებენ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასწავლებლები არ მომზადებულან. არის გარკვეული რაოდენობა მასწავლებლებისა, რომლებიც 1+4 პროგრამაზე სწავლობდნენ, თუმცა, მათგან, მასწავლებელთა განათლების პროგრამაზე – ძალიან მცირე რაოდენობა. მართალია, პირველი კურსდამთავრებულები წელს ეყოლება, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ისინიც ვერ შევლენ სკოლებში, რადგან უფროსი მასწავლებლის სტატუსისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობა გამოცდის ჩაბარებაა, გამოცდა კი ჯერ ჩაბარებული არ აქვთ. ფიზიკურად არ არსებობს კადრი, რომელიც არაქართულენოვან სკოლებში პენსიაზე გასულ მასწავლებლებს ჩაანაცვლებს. ამიტომ, თავისთავად, ეს ამ შეთავაზების სერიოზული რისკ-ფაქტორია.

რაც შეეხება ქალაქის სკოლებს, აქ, რა თქმა უნდა, სისტემამ შეიძლება იმუშაოს და ძალიან კარგი იქნება, თუ ჩანაცვლება რეალურად მოხდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ჰიპოთეტურად არის ალბათობა, რომ ქალაქის სკოლებში პენსიონერ მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა უარი თქვას საპენსიო შეთავაზებაზე, რადგან ქალაქის სკოლებში მასწავლებლად მუშაობას სხვა ბენეფიტებიც აქვს. ვგულისხმობ საკმაოდ გავრცელებულ რეპეტიტორობის ინსტიტუტს. სკოლაში ყოფნა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ჰყავდეს კერძო მოსწავლეები. სამწუხაროდ, მასწავლებელთა ქარტიის მოთხოვნის მიუხედავად, რომელიც მასწავლებლებს საკუთარი მოსწავლის კერძოდ მომზადებას უკრძალავს, უმეტესობა ამას მაინც აკეთებს. მათ შორის, ნიშნის დაწერის მიზნით, ამზადებს საკუთარ მოსწავლეს. ამიტომ, შესაძლებელია, მათთვის პენსიის სანაცვლოდ შეთავაზებული ორწლიანი ხელფასი, არ აღმოჩნდეს საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ სკოლა დატოვონ. თუმცა, ამ შემთხვევაში, კარგია ის მექანიზმი, რომელიც მასწავლებლებს პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩართვისკენ უბიძგებს. იმისთვის, რომ დარჩნენ სისტემაში, გამოცდის ჩაბარების ვალდებულება ექნებათ, ანუ ამით მეტნაკლებად იზრუნებენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

რისკ-ფაქტორების მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, ინიციატივა დადებითია. თუმცა, მე ყურადღებას ვამახვილებ იმ პრობლემებზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას.

კიდევ ერთი მინუსი, რომელიც შეიძლება ინიციატივას მოჰყვეს, ეს პირდაპირ დისკრიმინაციულია იმ თვალსზრისით (მესმის კეთილი განზრახვა, რომ სერტიფიცირებული პენსიონერი მასწავლებლის – უფროსი, წამყვანი თუ მენტორი – სკოლიდან გაშვება არ უნდა სამინისტროს), რომ შეთავაზება ვრცელდება მხოლოდ პრაქტიკოს მასწავლებლებზე. რაც ნიშნავს – თუ კარგი მასწავლებელი ვარ, მაღალი სტატუსი მაქვს, შესაბამისი კვალიფიკაცია და მინდა პენსიაზე გასვლა – ჯილდოს აღება, სახელმწიფო ამის შესაძლებლობას არ მაძლევს და აძლევს მხოლოდ მათ, ვინც ან არ გადის გამოცდაზე, ან ვერ აბარებს. მიზანი მესმის, თუმცა, ხასიათი წმინდა დისკრიმინაციულია. მაღალკვალიფიციურ მასწავლებელს თეორიულად მაინც უნდა ჰქონდეს ამის შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიდგომა მასწავლებლებისადმი (მათ შორის, წამყვანის, მენტორისა თუ უფროსის) დისკრიმინაციულია. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, განზრახვა კეთილია – სისტემას სურს მათი შენარჩუნება.

**– არაქართულენოვან სკოლებში, სადაც 7500-მდე მასწავლებელი ასწავლის, ზოგადად, კვალიფიციური კადრების პრობლემაა, რადგან ამ ხნის განმავლობაში, რაც პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა ამოქმედდა, შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მათ პროფესიული განვითარება ნაკლებად შეეხოთ**

– არაქართულენოვან მასწავლებლებს შორის ყველა პრაქტიკოსია, „ქართული როგორც მეორე ენის“ პროგრამისა და უცხო ენის რამდენიმე მასწავლებლის გარდა. მათ თეორიულადაც კი არა აქვთ საშუალება, რომ სისტემაში დარჩნენ და გამოცდა ჩააბარონ (მაგალითად, მშობლიური ენის მასწავლებლებს და ა.შ.), რადგან განათლების სამინისტრო მათთვის ამ გამოცდებს არ ატარებს.

ისინი, ფაქტობრივად, სისტემის ნაწილი არ არიან, არ მონაწილეობდნენ ამ პროცესში. სხვა საკითხია, რამდენად კარგი და სწორი იყო ეს პროცესი, მაგრამ, ფაქტია, რომ არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები მათ მიღმა აღმოჩნდნენ.

მაგალითად, სომხურის როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს და არ უნდოდეს პენსიაზე გასვლა, ამას ვერ შეძლებს იმ მიზეზის გამო, რომ მისთვის, პრაქტიკულად, საგნობრივი გამოცდა არ არსებობს.

**– რეალურად არაქართულენოვანი მასწავლებელი პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას ქართველი კოლეგის მსგავსად ვერ ახორციელებს**

– მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა სახლს აქვს პროგრამები, მათ შორის, 2016 წლიდან, მშობლიურ ენაზე, პროფესიული განვითარების პროგრამები ხელმისაწვდომია, არაქართულენოვან მასწავლებელს, ქართველი კოლეგის მსგავსად, პროფესიული ზრდის შესაძლებლობა არ აქვს. ენის სწავლების მიმართულებითაც მუშაობს მასწავლებელთა სახლისა და ჟვანიას სახელობის ენის სკოლის პროგრამები და მათი ანგარიშები რომ ნახოთ, იფიქრებთ, აყვავებულია არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლება. რაოდენობრივი თვალსაზრისით, ამ ანგარიშებში ისეთი მონაცემები აქვთ წარმოდგენილი, იფიქრებთ, რომ ყველა მასწავლებელმა იცის სახელმწიფო ენა, თუმცა, რეალობა აბსოლუტურად განსხვავებული და მძიმეა. შესაბამისად, მასწავლებლებს არანაირი შესაძლებლობა არა აქვთ პროფესიული ზრდისთვის.

სერიოზული პრობლემა ის არის, რომ აქცენტი მაქსიმალურად უნდა განმტკიცებულიყო უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი თაობის აღზრდაზე და ხელშეწყობაზე, რომ მერე ისინი შესულიყვნენ პროფესიაში. თუმცა, ამ კუთხითაც არ გადაიდგა ნაბიჯები, 1+4 პროგრამის სტუდენტთა ნაწილი ასისტენტ მასწავლებლებად გაუშვეს არაქართულენოვან სკოლებში, ოღონდ ისე, რომ მათგან უმეტესობას გავლილი არ ჰქონდა მასწავლებელთა განათლების პროგრამები.

2013 წლიდან დღემდე, განათლებისა და მეცნიერების ყველა მინისტრს ვთხოვთ კანონში ცვლილების შეტანას, რომელიც, ასევე, დისკრიმინაციულია. არსებობს ე.წ. უფასო უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები, მათ შორის, მასწავლებელთა განათლების პროგრამა, რომელიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება და ყველასთვის უფასოა, კვოტირების სისტემით ჩარიცხული სტუდენტების გარდა, ანუ ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტებისთვის ფასიანია, არ არის გარანტირებული მისაღები გამოცდების დროს. ვერაფრით მივაღწიეთ იმას, რომ წახალისდეს, თუნდაც, მასწავლებელთა განათლების პროგრამა და გახდეს უფასო, რათა მეტი სტუდენტი მოიზიდოს უმაღლესმა განათლების პროგრამაზე და, რეფორმის პირობებში, აღარ გვქონდეს საკადრო პრობლემები. 2013 წლიდან დღემდე, ეს მარტივი ცვლილება – დაფინანსდეს მასწავლებელთა განათლების პროგრამა კვოტირებული სტუდენტებისთვის – მიუღწეველია.

**– რას ფიქრობთ არსებულ რეგულაციებზე, რომელიც მასწავლებელთა პროფესიაში შესვლას აწესრიგებს. ერთი დეტალი, სტუდენტს, რომელიც მაინორ პროგრამად ირჩევს პედაგო-**

## აქტუალური თემა

**გიკას და აგროვებს 60 კრედიტს, პროფესიაში შესვლისას არანაირი პრივილეგია არ აქვს. მაშინ რისთვის სჭირდება სახელმწიფოს მაინორ პროგრამად პედაგოგიკა, თუკი დასაქმებისთვის კადრს ისევ თავიდან მოეთხოვება ანალოგიური, მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის გავლა? მაინორ პროგრამა რამეში ხომ უნდა გამოიყენოს სტუდენტმა?**

– მოთხოვნაა, რომ კადრი სკოლაში უფროსი მასწავლებლის სტატუსით შევიდეს, და ასეთმა კურსდამთავრებულმაც კი უნდა ჩააბაროს გამოცდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მასწავლებლის სტატუსს ვერ მიიღებს. რასაკვირველია, ესეც დამატებითი დაბრკოლებაა.

რაც შეეხება მაინორ პროგრამას, რა თქმა უნდა, რეალურად იმისთვის არის დაგეგმილი, რომ რამეში გამოიყენოს სტუდენტმა. უბრალოდ, გაურკვეველი ურთიერთსაწინააღმდეგო რეგულაციები, რომლებიც ხარისხის გაუმჯობესებისთვის უნდა იყოს მოწოდებული, პრობლემების შესაქმნელად უფროა, მათ შორის, ხშირ შემთხვევაში, სამინისტროს მიერ განსახორციელებელი რეფორმებიც. ამიტომ, რაც უფრო ნაკლები იქნება ვითომ ხარისხზე ორიენტირების გამო შემოღებული რეგულაციები, მით უკეთესია სისტემისთვის და თავად სამინისტროსთვისაც.

ცოტა ქაოსური და გაურკვეველი სიტუაციაა. მაგალითისთვის იმასაც გეტყვით, ახლაც კი გაუგებრობაა, დამამთავრებელი კურსის სტუდენტს შეუძლია თუ არა გამოცდის ჩაბარება – მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ მათ ამის უფლება არ აქვთ, მაშინ, როცა მასწავლებელთა სახლი მოუწოდებს, სწრაფად დარეგისტრირდნენ გამოცდებზე, რომ სექტემბრიდან შეძლონ სკოლაში მუშაობის დაწყება. ამიტომ, ასეთ ვითარებაში, სჯობს, უფრო მოქნილმა სისტემამ იმოქმედოს, რათა ნიჭიერ ადამიანებს, რომლებსაც მასწავლებლობის სურვილი აქვთ, პროფესიაში შესვლა გაუადვილდეთ. პირდაპირ გეტყვით, მაინცდამაინც განათლების პროგრამადამთავრებული თუ არ შევა სკოლაში, ეს კატასტროფა არ არის. შეიძლება, პირიქითაც კი ვიფიქროთ – ყველა მონაცემი გვიჩვენებს, რომ დაბალი კვალიფიკაციის და უნარების მქონე ადამიანები მიდიან განათლების პროგრამებზე უმაღლეს სასწავლებლებში. თუკი სხვა, უფრო პრესტიჟული პროგრამებიდან (მაგალითად, იურიდიული, ჟურნალისტიკის, ფიზიკა-მათემატიკის და ა.შ.) მოვიზიდავთ კადრებს და გავუმარტივებთ პროფესიაში შესვლის გზებს, გაცილებით უკეთეს კადრებს შევიყვანთ სკოლებში და არა ის, რომ აქცენტი მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანების შეყვანაზე ვაკეთოთ, რომლებიც მაინცდამაინც განათლების პროგრამებზე სწავლობენ და რომელთა კვალიფიკაცია აპრიორი უფრო დაბალია.

**– საპენსიო შეთავაზება ერთწლიანი იქნება. რას ფიქრობთ ამის შესახებ, უნდა ისარგებლონ თუ არა მსგავსი შეთავაზებით მასწავლებლებმა მომავალ წლებშიც?**

– არაინსტიტუციონალიზებული ერთჯერადი შეთავაზებაა, რაც, თავისთავად კარგი არ არის. მით უფრო, მასწავლებელმა პენსიაში გასვლის შესახებ ძალიან სწრაფად, უკვე მაისის ბოლომდე, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ეს, რა თქმა უნდა, ხარვეზია. ხარვეზია ისიც, რომ მხოლოდ ერთჯერადი შეთავაზება ვერ გადალახავს პრობლემას. პოზიტიურია იმ კუთხით, რომ ამ მიმართულებით პირველად დაიწყო აქტივობა. ახლა მთავარია, რა შედეგებს მივიღებთ შეთავაზებიდან. შესაძლებელია, აბსოლუტურად უშედეგო ან უკუშედეგის მომტანიც კი აღმოჩნდეს – თანხა დაიხარჯოს და რეალურ მიზანს ვერ მივაღწიოთ. ვფიქრობ, სამინისტრო შემდგომ ნაბიჯებს სწორედ აქედან გამომდინარე გადადგამს (ამის იმედი მაქვს!). იმის თქმა, რას გააკეთებს მომავალ წელს, შედეგებზე დაკვირვების გარეშე, არასწორია. აუცილებელია, ჯერ ნახოს ეფექტი და მერე მიიღოს სამომავლო გადაწყვეტილება.

**ესაუბრა ლალი ჯელაძე**

## პროფესიული განათლება

# კერძო კოლეჯების ასოციაციის მეხუთე ფორუმი

14 მაისს, სასტუმრო „იოტაში“ გაიმართა საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მეხუთე ფორუმი. ასოციაციის წევრ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ: პარლამენტის ფრაქცია „სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარე **გია ჟორჟოლიანი**; განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ირინა წეროძე** და მისი მოადგილე **თამარ სამხარაძე**, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის უფროსი **მარი ბეზარაშვილი**, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **თამარ მახარაშვილი** და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **კახაბერ ერაძე**, ასოციაციის ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები, საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული პირები.

ასოციაცია არსებობის მეექვსე წელს ითვლის და ჩამოყალიბდა როგორც ავტორიტეტული, კომპეტენტური, მძლავრი ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო და არის – პროფესიული განათლების სისტემის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად. ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია საქართველოს კერძო კოლეჯების უმრავლესობა – 46-დან 35. ასოციაციის ფორუმზე შეჯამდა 2017-2018 წლების მუშაობა. პროფესიული განათლების 2020-2022 წლების ხედვის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ირინა წეროძემ. გაიმართა ასოციაციის ახალი გამგეობის, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები.

საერთო კრებამ ასოციაციის გამგეობის წევრებად აირჩია: **ია ერაძე** – საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA“; **მაია ჩიხლაძე** – საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“; ნინო გომელაური – მარნეულის კოლეჯი; **გიორგი ბერაია** – საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“; შორენა ხაჭაპურიძე – საზოგადოებრივი კოლეჯი „ფანასკერტელი“; **მანანა მახარაშვილი** – საზოგადოებრივი კოლეჯი „ნატალი აკადემია“; **რაინდი ლომაია** – საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“. ახლად არჩეულმა გამგეობამ, ხმათა უმრავლესობით, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტად ია ერაძე აირჩია, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად – მაია ჩიხლაძე და ნინო გომელაური.

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტმა, ია ერაძემ ერთსულოვანი მხარდაჭერისა და ნდობისთვის მადლობა გადაუხადა ასოციაციის წევრ საგანმანათლებლო დაწესებულებებს და აღნიშნა, რომ ყოველთვის გრძნობდა მათ თანადგომას: *„გპირდებით, არ დავიშურებ ძალისხმევას, გავამართლო თქვენი იმედები და ჩემი შესაძლებლობები გამოვიყენო ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და ჩვენი ერთიანი მისიით გაცხადებული მიზნების რეალიზებისათვის. უზრუნველვყოფ ასოციაციის მართვის ორგანოების რესტრუქტურიზაციის გზით გადაწყვეტილებების მიღებისა და წევრთა წარმომადგენლობითობის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, სახელმწიფო უწყებებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის გაღრმავებას, მათ შორის – დაფინანსების წყაროებსა და სხვადასხვა სოციალურ სარგებელზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობას.*

*გამოვიყენებ საკუთარ გამოცდილებასა და მიდგომებს ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან თქვენივე შესაძლებლობათა გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ჩვენ ერთად შევძლებთ, პროფესიული განათლების ფარგლებში, კერძო პროვაიდერების პოპულარიზაციას, მათ შორის, ბრენდირების მოდერნიზებული სისტემის სრულყოფას ახალი მიდგომებისა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობების ხელშეწყობას, სხვადასხვა ნომინაციებში პროფესიული განათლების ალტერნატიული, სამართლიანი და გამჭვირვალე ეროვნული ჯილდოს დაწესებასა და სხვა საინტერესო აქტივობების განხორციელებას. ჩემი ყველა ძალისხმევა მიმართული იქნება ასოციაციის წევრებს შორის მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის გაძლიერებისა და არსებული მემორანდუმების ფარგლებში ურთიერთსასარგებლო მიმართულებების გააქტიურებისაკენ. მჯერა, რომ ბევრ სასარგებლო საქმეს გავაკეთებთ, პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის“.*

ფორუმის დასასრულ, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ კერძო კოლეჯების ასოციაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტს, ია ერაძეს.

**– რის განხორციელებას გეგმავთ პირველ ეტაპზე?**

– კერძო კოლეჯები პროფესიული განათლების ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ამას ფორუმზე არაერთხელ გაესვა ხაზი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე სოციალური პარტნიორების მხრიდან. ამ კონტექსტში რთულია პირველი ნაბიჯების გამოყოფა. ბევრი რამ სასწრაფოდ და ერთდროულადაა გასაკეთებელი. პირველი მაინც საჭიროებათა სწორი იდენტიფიცირებაა. ამისათვის კონსტრუქციული თანამშრომლობის და დიალოგის რეჟიმში უნდა შეჯერდეს




კოლეჯების ხედვები და სხვა მხარეთა მოლოდინები, როგორიცაა სამინისტროები, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა რეალური გაერთიანებები. ეს მოგვცემს ჩვენი ნაბიჯების სწორად დაგეგმვის შესაძლებლობას. თუმცა აშკარაა, რომ ასოციაციამ სასწრაფოდ უნდა იპოვოს ადგილი პროფესიული განათლების რეფორმის ერთიან ფრონტზე და აქტიურად ჩაერთოს საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაში, რაზეც სწორედ ახლა მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

**– რა არის მთავარი პრობლემა, რის წინაშეც კერძო კოლეჯები დგანან?**

– მას შემდეგ, რაც დაიწყო დაფინანსების მოდელის გადახედვა და მიმდინარე წლიდან კერძო კოლეჯების სტუდენტებიც ეტაპობრივად ჩაერთვებიან დაფინანსების სქემაში, მთავარი პრობლება, რაც კერძო კოლეჯების წინაშე იდგა, მეტნაკლებად თანდათანობით მოგვარდება. შესაბამისად, უკვე წინ წამოიწევს ისეთი საკითხები, რომლებიც საერთოა კერძო და საჯარო კოლეჯებისათვის, როგორიცაა პროფესიული განათლების ჯერ კიდევ არასაკმარისი პოპულარობა, ხარისხის კულტურის განვითარება, უცხოური სასწავლებლების უკანონო ფილიალების არსებობა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების შეუძლებლობა. ზოგადად, ასეთი დინამიური ცვლილებების შემდეგ, პროფესიული განათლების მდგრადი განვითარებისათვის სტაბილური გარემოს შექმნა, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია.

**– წარმატებული ნაბიჯები, რომლებიც ბოლო პერიოდში გადაიდგა კერძო კოლეჯების ხელშეწყობისათვის ?**

– უფრო ვიტყოდი, რომ ნაბიჯები ახლა იდგმება, რადგანაც ჯერ პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილი არ დასრულებულა და შედეგებზე საუბარი ნაადრევია. ამას პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის მიღებამ შეუქმნა საფუძველი, თუმცა მთავარი მაინც კანონქვემდებარე აქტებია. ძალიან მალე კერძო კოლეჯების სტუდენტები ისარგებლებენ სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, მალე დაიწყება ზრდასრულთა განათლების მოკლევადიანი პროგრამები, რაც დამატებით შესაძლებლობას მისცემს პროვაიდერებს, შესაძლებელი გახდება ზოგადი განათლების ინტეგრირება პროფესიულ განათლებაში, რაც საგანმანათლებლო ჩიხებს აღმოფხვრის. წლის ბოლომდე კიდევ მრავალი სიახლის მოლოდინში ვართ, რაც თანდათან გააფართოებს კერძო კოლეჯების შესაძლებლობებს საგანმანათლებლო ბაზარზე.



**მოამზადა მაკა ყიფიანმა**

სამოდელო გაკვეთილი

# THE COMPARATIVE AND THE SUPERLATIVE ADJECTIVES

***გთავაზობთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკას საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგის, გაიანე პაპიკიანის მიერ VII კლასში ჩატარებულ გაკვეთილს***

უცხ.ს.VII.10. წერისას მოსწავლეს შეუძლია შექმნას ტექსტის სტრუქტურა, ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ-გრამატიკულ უნარ-ჩვევებს

**Level:** Entermadiate, 7-th
**Time:** 40m
**Lesson objectives:** By the end of the lesson students will be able to differentiate and use comparative and superlative adjectives.
**Class profiles:** 5 boys and 6 girls with different interests and background knowladges.
**Assumption:** Students know what`s the adjective.
**Anticipated problems and solutions:** Some of students can understand hardly.
**Solution:** To describe one more time and have more practice.
**Assessment types:** formative assessment.
**Matrials:** Book, copybook, board, chalk, pen, posters, marker, worksheets.
**Teacher:** Gayane Papikyan **Grade:** 7-th
**date:** 5.03.2019 **Durection:** 40m.

| stage | Aim | Procedure | Time and interaction |
|---|---|---|---|
| **Revision of the last lesson** | **To check Ss knowladges about last lesson.** | **T asks questions from last lesson. Ss answer to them and show on the poster.** | **T-Ss 8m** |
| **Lead in** | **To generate interest to theme.** | **T asks what`s the adjective. Ss answer,give examples and write 5 adjectives in their copy books.** | **T-Ss 5m** |
| **New lesson`s description** | **To describe new lesson;comparative and superlative adjectives.** | **T explains how to make and use comp. and sup. Adjectives. Gives examples, writes on the board and also shows on the posters. During description T asks concept checking questions to Ss.** | **T-Ss 15m** |
| **Feedback** | **To check understanding.** | **T conducts feedback to check Ss understanding.** | **T 2m** |
| **Test** | **To use new knowledges.** | **T gives worksheets to Ss. Ss should write comp. and sup. forms of given adjectives, also complete the sentences with comp. or sup. adjectives.** | **Ss 7m** |
| **Feedback** | **To check the understanding of theme.** | **T checks understanding and provide positive feedback.** | **T 2m** |
| **Home work** | **To consolidate new knowladges.** | **T writes the page and the number of exercise on the board.** | **T 1m** |

**I choosed 7-th grade and the theme of the lesson was comparative and superlative adjectives. My goal was that students understood how to make comparative and superlative adjectives,and could use in sentences.**

**During the lesson all of the students were active. They wrote sentences using comparative and superlative adjectives. They completed the sentences with the right forms of adjectives. They did test and checked with teacher.**

**At the end of the lesson students understood the grammar.Everyone could make comparative and superlative adjectives, and could use in the sentences.**

**So I can say that I reached to my goal.**

**I could use some texts where children could find the adjectives and guess the forms wether it was comparative and superlative.**

**Rubric for grammer**

| | Good | Satisfactory | Needs Improvement |
|---|---|---|---|
| **Understanding** | Ss understand the grammar and can use very well. | Students understand the grammar and can use. But do mistakes. | Ss don`t understand and can`t use the grammar. |
| **Participating** | Ss participate actively during the lesson. | Ss sometimes participate during the lesson. | Ss don`t participate during the lesson. |
| **Using** | Ss can use the grammar and do exercises. | Ss can use the grammar and do exercises. But have mistakes. | Ss can`t use the grammar and can`t do exercises. |

**At the beginning of the lesson I asked students questions about last theme „London`s famous buildings". Students made a poster theirselves and talked about London`s famous buildings . After that I used brainstorming method to prepare students for the new theme of the lesson:**

**The degrees of comparision of adjectives. So I asked students to write down adjectives in their copybooks.**

**Then I described the rules of making comp. and sup. forms of adjectives . I used the posters where was written rules of making and using comp. and sup. adjectives. I also wrote on the board examples. After my description , students made comp. and sup. forms of adj. which they wrote on their copybooks . Then they completed the sentences with correct form of given adjectives. During the lesson students participated actively and I often asked concept checking questions to check their understanding.**

**The next activity was the test. I gave worksheets to students. They should work individualy and write comp. and sup. forms of given adjectives and complete the sentences with correct types of adj.**

**After finishing we checked tests together.**

**All of the students understood the grammar and could use their knowladges. And that was the aim of my lesson.**

**At the end of the lesson I wrote home-work on the board and explained that.**

ინოვაციური გაკვეთილი

# მწვანე არქიტექტურა

ჩემი პედაგოგიური საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა ინჩიონის დეკლარაცია – განათლება 2030 და „სამოქმედო ჩარჩო ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლისაკენ". ვცდილობ, ჩემ მიერ შექმნილ გაკვეთილის გეგმებში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, გათვალისწინებული იყოს თანამედროვე მოთხოვნები და გამოწვევები. გთავაზობთ ერთ-ერთ ინოვაციური ტიპის გაკვეთილის გეგმას, სადაც, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან ერთად, ჩავრთე ახალი ცოდნა, რომ მდგრადი განვითარების მესამე მიზნის დემონსტრირება მომეხდინა, რომელიც ყველა ასაკის ადამიანისთვის ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს. გაკვეთილის ფორმამ საშუალება მომცა, საგაკვეთილო მიზნებში გამეთვალისწინებინა როგორც ცოდნის შეძენა ეკოლოგიურ, ანუ „მწვანე არქიტექტურასთან" დაკავშირებით, ასევე წამეხალისებინა მოსწავლეები და ყველა პირობა შემექმნა მათი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის.

**გაკვეთილის გეგმა**

**მასწავლებლის სახელი, გვარი:** ნონა შუშანიძე
**საგანი:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
**სწავლების საფეხური/კლასი:** დაწყებითი/VI კლასი
**მოსწავლეთა რაოდენობა:** 4
**გაკვეთილის ტიპი:** ინოვაციური
**გაკვეთილის თემა:** II თავი – არქიტექტურა და დიზაინი, 3-4 ქვეთემა – „მწვანე არქიტექტურა"
**გაკვეთილის მიზნები:**
მოსწავლემ
- მიიღოს ცოდნა ეკოლოგიური, ანუ „მწვანე არქიტექტურის" შესახებ და გააცნობიეროს ქალაქთმშენებლობაში არქიტექტურასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები;
- გააცნობიეროს მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობის მნიშვნელობა (მდგრადი განვითარების მე-9 მიზნის მიხედვით);
- შეძლოს ერთმანეთთან დააკავშიროს ეკოლოგიური (ბუნებისმეტყველება) და სახვითი/გამოყენებითი ხელოვნების (მწვანე არქიტექტურა) პრობლემების მოგვარების მნიშვნელობა ადამიანისათვის;
- შეძლოს ჩამოაყალიბოს საკუთარი ჩანაფიქრი და იდეა ეკოლოგიისა და სახვითი/გამოყენებითი ხელოვნების ურთიერთმიმართების სასარგებლოდ წარმართვისთვის.

**აქტივობა 1 – წინარე ცოდნის გააქტიურება**
**მიზანი:** საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის ამაღლებისათვის მოტივაციის შექმნა.
**შედეგი:** მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია გაკვეთილის პროცესში ჩართულობისთვის და მომავალი პერსპექტივისთვის.
**გამოყენებული მეთოდი:** შეკითხვა-პასუხი, ფაქტებს შორის კავშირის გარკვევა.
**მასწავლებელი:** *წინა გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლეთ ურბანული არქიტექტურის ხასიათი, რა განცდა დაგეუფლათ? როგორ წარმოგიდგენიათ თანამედროვე ქალაქების ცხოვრება ურბანული დაგეგმარების გარეშე?*
**სასწავლო რესურსი:** სახელმძღვანელო.
**დრო:** 4წთ.

**აქტივობა 2 – „ეკოლოგიური", ანუ „მწვანე არქიტექტურა"**
**XX-XXI სს-ში ყველაზე მოთხოვნადი ეკოლოგიური არქიტექტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება**
**მიზანი:** ხელოვნებისა და ეკოლოგიური საკითხების ინტეგრირებით, „მწვანე არქიტექტურის" ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ახალი ცოდნის შექმნა.
**შედეგი:** მოსწავლეები ეცნობიან ეკოლოგიურ საკითხებს, შეუძლიათ მათი დახასიათება და სხვებისთვის გაცნობა.
**ინსტრუქცია დავალებისათვის:** გთხოვთ, ყურადღებით გადაათვალიეროთ თქვენ მიერ ჩანიშნული ინფორმაცია და ჩაერთოთ დიალოგში, თანამედროვე სამყაროში ეკოლოგიური, ანუ „მწვანე არქიტექტურის" მნიშვნელობის შესახებ.
**გამოყენებული მეთოდი:** მასწავლებლის პრეზენტაცია, კითხვა-პასუხი, დიალოგი, კომუნიკაცია.
**სასწავლო რესურსი:** ფლიფჩარტი
**დრო:** 8წთ.

**აქტივობა 3 – თანამედროვე არქიტექტორები**
**მიზანი:** მოსწავლეებმა გაიცნონ და განიხილონ, თანამედროვე არქიტექტორებთან ერთად, ცნობილი არქიტექტორების – მაიკლ რეინოლდსისა და ფრიდრიხ ჰუნდერტვასერის იდეები.
**შედეგი:** მოსწავლეებს შეუძლიათ თანამედროვე ტიპის შენობებსა და მშენებლებზე აზრის გამოთქმა.
**ინსტრუქცია:** თემის „მწვანე არქიტექტურა" გაცნობისას, მოსაზრებათა ურთიერთგაზიარების შემდეგ, მასწავლებელი მონიტორზე აჩვენებს ფოტოკოლაჟს დანაგვიანებულ ეკოსამყაროზე და მოსწავლეებს უსვამს ინტერაქტიულ კითხვებს:
- *რა ზემოქმედებას ახდენს თანამედროვე ადამიანი ბუნებაზე?*
- *როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა გარემოს დაცვაში?*
- *გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, რამდენად აუცილებელია მეორადი მასალების გამოყენება?*

**დამატებითი ინფორმაცია:** მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ამჟამად ეკოლოგიური პრინციპები ცათამბჯენების მშენებლობაშიც ინერგება. ასეთია მაგალითად, ლონდონის ცათამბჯენი „სენტ მერი ექსი", რომლის უჩვეულო ფორმა და შინაგანი სტრუქტურა მხოლოდ ესთეტიკური მოსაზრებით არ არის ნაკარნახევი – ხელს უწყობს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას, ასევე ელექტროენერგიის მნიშვნელოვნად დაზოგვას. ცათამბჯენი, ჩვეულებრივთან შედარებით, 50%-ით ნაკლებ ელექტროენერგიას საჭიროებს.

დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, მასწავლებელი სთავაზობს ვიდეომასალას – სენტ მერი ექსისა და სხვა თანამედროვე ეკოლოგიური მშენებლობების შესახებ.
**გამოყენებული მეთოდი:** მასწავლებლის პრეზენტაცია, არჩევანი, პრიორიტეტის მინიჭება, მსჯელობა.
**სასწავლო რესურსი:** პოსტერი, კომპიუტერი, პროექტორი, ფოტოკოლაჟი.
**დრო:** 6წთ.

**აქტივობა 4 – არქიტექტურა ბუნების წიაღში**
**მიზანი:** მოსწავლემ გააცნობიეროს ბუნების წიაღში არსებული არქიტექტურის სპეციფიკა და მნიშვნელობა.
**შედეგი:** მას შეუძლია მსჯელობა მწვანე არქიტექტურის როლსა და მნიშვნელობაზე ბუნების წიაღში თუ ურბანულ დაგეგმარებაში.
**ინსტრუქცია:** ეკრანზე წარმოდგენილი ფოტოკოლაჟით, მასწავლებელი აცნობს, ულამაზესი ბუნების ფონზე, მსოფლიო და ქართულ არქიტექტურას. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად საყურადღებოა სხვა ქვეყნებში ამ მიმართულებით არსებული საინტერესო და

## ინოვაციური გაკვეთილი

სასარგებლო გამოცდილების შესწავლა-გაზიარება.

იგი ურჩევს მოსწავლეებს, ხშირად მიიღონ მონაწილეობა მცენარეთა გამრავლებაში და სთავაზობს სტუმრების თვალწინ, სიმბოლურად, თითოეულმა ქოთანში ჩარგოს ყვავილების წინასწარ მომზადებული 4 პატარა ნერგი.

**დიალოგი:** ჩემი სახლი და მე
**გამოყენებული მეთოდი:** მასწავლებლის პრეზენტაცია, განმარტება, რჩევები, დიალოგი.
**სასწავლო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, მცირე ზომის ყვავილის ნერგები.
**დრო:** 6წთ.

**აქტივობა 5 – „მე მაქვს იდეა I“**
**შენობებისთვის, წინა გაკვეთილზე შექმნილ ურბანულ მაკეტში, „მწვანე არქიტექტურის“ სახის მიცემა**
**მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი იდეის ჩამოყალიბება და განხორციელება.
**შედეგი:** მოსწავლეს შეუძლია, საკუთარი იდეებით, ყველასგან განსხვავებული ნაგებობის შექმნა და ხედავს, თუ რამდენად იმოქმედებს ამ სახის ცვლილებები მობინადრეთა ჯანმრთელობაზე, მათ განწყობაზე.
**ინსტრუქცია:**
ა) გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ თქვენი იდეა შენობის მაკეტისთვის „მწვანე არქიტექტურის“ სახის მისაცემად. შეგიძლიათ გამოიყენოთ გამომსახველობითი ხერხები, აპლიკაციები და სხვ.
ბ) თითოეულმა მოსწავლემ, ფერადი და მუყაოს ქაღალდით, პლასტილინით შექმნილი მცენარეები, საკუთარი იდეის მიხედვით, განათავსოს წინა გაკვეთილში შექმნილ ურბანულ მაკეტში.
**გამოყენებული მეთოდი:** განმარტება, ინფორმაციის მიწოდება.
**სასწავლო რესურსი:** მუყაო, ფერადი ქაღალდი, ფერადი ფანქრები, პლასტილინი, ცხელი წებო, მძივები.
**დრო:** 8 წთ.

**აქტივობა 6 – საკლასო სავარჯიშო**
**მიზანი:** გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის გაძლიერებისთვის, კლასში შესრულდება სავარჯიშო „მოსწავლის რვეულიდან“.
**შედეგი:** მოსწავლეს შეუძლია ახალ გაკვეთილში არსებული უცხო ტერმინებისა და ახალი ინფორმაციის გააზრება, დამახსოვრება და დემონსტრირება.
**ინსტრუქცია:** მასწავლებელი მოსწავლეს მიუთითებს „მოსწავლის რვეულში“, მე-15 გვერდზე, მეორე თავის მე-3-4 გაკვეთილის მე-2 სავარჯიშოზე – „შემოხაზეთ სწორი პასუხები“.
**გამოყენებული მეთოდი:** განმარტება საკლასო დავალებისთვის.
**სასწავლო რესურსი:** მოსწავლის რვეული, უბრალო ფანქარი.
**დრო:** 3წთ.

**აქტივობა 7 – „მე მაქვს იდეა II“**
**მეორადი ნივთების ხელოვნება**
**მიზანი:** მოსწავლე ჩამოაყალიბებს იდეას მეორადი ნივთებისთვის „ახალი სიცოცხლის მინიჭების“ შესაძლებლობის შესახებ და განახორციელებს მას.
**შედეგი:** მეორადი ნივთებით, საკუთარი იდეით, შეძლოს „ხელოვნების ნიმუშის“ შექმნა, რითაც საკუთარ წვლილს შეიტანს ბუნების გადარჩენაში.
**ინსტრუქცია:** მასწავლებელი ფოტოკოლაჟით აჩვენებს მოსწავლეებს მეორად ნივთებს ახალი სიცოცხლით და საშინაო დავალებად სთავაზობს, საკუთარი იდეის მიხედვით, პლასტმასის მეორადი ბოთლებით, შექმნან დეკორატიული კონტეინერი საკუთარი ფერადი ფანქრებისთვის.
**გამოყენებული მეთოდი:** მასწავლებლის პრეზენტაცია ფოტოკოლაჟით.
**სასწავლო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, მეორადი ნივთები.
**დრო:** 5წთ.

**აქტივობა 8 – საშინაო დავალება**
**ინსტრუქცია:** მასწავლებელი მიუთითებს „მოსწავლის რვეულში“, მე-15 გვერდზე, თემა – „მწვანე არქიტექტურა“, შეასრულონ სავარჯიშო 1 და სავარჯიშო 3.
- *ჩაწერეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს ეკოლოგიური არქიტექტურა.*
- *გააკეთეთ კომენტარი ერთნაირი, უსახური „კოლოფების“ სახის სახლებზე.*

**გამოყენებული მეთოდი:** განმარტება საშინაო დავალების შესრულებაზე.
**სასწავლო რესურსი:** მოსწავლის რვეული.
**დრო:** 2წთ.

**აქტივობა 9 – შეფასება**
**მასწავლებლის განმარტება:**

დღევანდელ გაკვეთილში, ბუნებისა და ხელოვნების ურთიერთკავშირით, რამდენიმე საინტერესო და აქტუალური საკითხი განვიხილეთ: ეკოლოგიური პრობლემები, ურბანული „მწვანე არქიტექტურა“, არქიტექტურა ბუნების წიაღში და მეორადი ნივთების ხელოვნება. დღევანდელ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა დაგვეხმარება, უკეთ ვიზრუნოთ სუფთა და ეკოლოგიური ბუნებისთვის.

შევამოწმოთ, რამდენად ვართ მზად, ხელოვნებით ვიზრუნოთ ბუნების მოვლა-გადარჩენაზე, ამაში დაგვეხმარება თვითშეფასების რუბრიკა, რომელსაც შემოგთავაზებთ.

ვისაც სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ გაგვაცნოთ თქვენი თვითშეფასება და მიიღოთ ჩვენგან უკუკავშირი.

**თვითშეფასების სქემა**

| | კრიტერიუმები | სავსებით 0-10 | ნაწილობრივ 0-8 | ვსაჭიროებ დახმარებას 0-6 |
|---|---|---|---|---|
| 1 | ვიცნობ „მწვანე“ არქიტექტურის ისტორიას. | 0-1 | 0-1 | 0-1 |
| 2 | მაქვს სურვილი, მეგობრებთან და მშობლებთან ერთად, მოვინახულო თანამედროვე ეკოლოგიური არქიტექტურა. | 0-1 | 0-1 | 0-05 |
| 3 | ჩვენს სახელოსნოში მუშაობისთვის შემიძლია ავირჩიო მცენარეები, მოვამზადო რესურსები და საჭიროებისამებრ გამოვიყენო. | 0-2 | 0-1 | 0-1 |
| 4 | ვიცი საკლასო სავარჯიშოს შესრულების წესები. | 0-1 | 0-05 | 0-05 |
| 5 | შემიძლია განვსაზღრო ხელოვნების როლი ბუნების გადარჩენაში. | 0-1 | 0-1 | 0-05 |
| 6 | შემიძლია ჩემ მიერ კლასში შექმნილი დავალებების პრეზენტაცია. | 0-1 | 0-1 | 0-05 |
| 7 | შემიძლია თანამედროვე ურბანულ სივრცეში არსებული ეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერება. | 0-1 | 0,05 | 0-05 |
| 8 | მაქვს ეკოლოგიური არქიტექტურის პრობლემებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და დასაბუთების უნარი. | 0-1 | 0-1 | 0-05 |
| 9 | მაქვს პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარჩვევები. | 0-1 | 0-1 | 0-05 |
| | ჯამი | | | |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:**

**ცოდნა**
- აქვს ცოდნა „მწვანე არქიტექტურის“ შესახებ;
- გაცნობიერებული აქვს „ჩვენი სახელოსნოსთვის“ ნიმუშების შექმნისთვის წინაპირობის შესრულების აუცილებლობა;
- აქვს იდეა მეორადი ნივთებისათვის ახალი სიცოცხლის მისანიჭებლად და შეუძლია მისი განხორციელება.

**უნარები**
მოსწავლეს შეუძლია:
- ერთმანეთთან ინტეგრირებულად განიხილოს ბუნება და ხელოვნება;
- ჩამოაყალიბოს იდეა ეკოლოგიური და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო არქიტექტურის მნიშვნელობის შესახებ;
- შეადაროს ქართული და უცხოური თანამედროვე არქიტექტურის ხასიათი;
- „ჩვენს სახელოსნოში“ მუშაობისთვის რესურსების მომზადება;
- საკლასო მუშაობაში აქტიური მონაწილეობა.

**ესგ-სთან შესაბამისობა**
**ს.გ.VI.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**
- მიზანმიმართულად ირჩევს და ავითარებს სხვადასხვა მასალის (ბუნებრივი, ხელოვნური) გამოყენების გზებს მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი კომპოზიციების და კონსტრუქციების შესაქმნელად.

**ბუნ.VI.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმელეთის რელიეფის ცვლილებაში ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის როლზე მსჯელობა.**
- მოსწავლე იკვლევს და აღწერს ნაცნობი ბუნებრივი გარემოს რელიეფს და მასალას მისი მრავალფეროვნების შესაბამისად წარმოადგენს.

ნონა შუშანიძე
*საქართველოს საპატრიარქოს*
*წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის*
*სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების*
*წამყვანი მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. *ეროვნული სასწავლო გეგმა 2016-2024;*
2. *გზამკვლევის II ნაწილი, 2016;*
3. *სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება 2016;*
4. *განათლება 2030 ინჩიონის დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლისაკენ;*
5. *www. Maswavlebeli.ge.*

## ინფორმაცია

# ბანოჯის საჯარო სკოლამ ლადო აფხაზავას, თავის გუნდთან ერთად, უმასპინძლა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბანოჯის საჯარო სკოლამ, მიმდინარე წლის 6 აპრილს, მასპინძლობა გაუწია მსოფლიოში აღიარებულ მასწავლებელს, **ლადო აფხაზავას**, თავის გუნდთან – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლასთან ერთად.

მასპინძელ სკოლას დაგეგმილი ჰქონდა ღონისძიება მრავალფეროვანი აქტივობებით, რომლის დასკვნით ნაწილში ლადო მასწავლებელმა, სასკოლო საზოგადოებისთვის, შემოქმედებითი პრეზენტაცია გამართა.

ბანოჯისა და ჩიბათის საჯარო სკოლებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის მემორანდუმი გაფორმდა (დირექტორები: **ნინო წილოსანი** და **მამუკა იმნაიშვილი**). მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეების აქტიურ ჩართვას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა სახის პროექტებში, გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ერთობლივად გამომუშავებას.

დამსწრე საზოგადოებამ დაინახა სკოლის ჯანსაღი თანამშრომლობითი კულტურა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან. სტუმრებს მიესალმნენ: წყალტუბოს დეპუტატი **ცოტნე ზურაბიანი**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი **გრიგოლ იოსელიანი**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **პაატა ახალაძე**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი **მამუკა ჩხეტიანი**, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი **ნანა გიორგაძე**, სოფლის გამგებელი **ომარ სინაურიძე**.

სტუმრები თუ მასპინძლები კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ და მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორს შინაარსიანი, პოზიტიური და ლამაზად ორგანიზებული დღისთვის. დღის ბოლოს, ლადო მასწავლებელმა, დირექტორებთან შეთანხმებით, ახალი აქტივობები დაგეგმა.





ინტეგრირებული გაკვეთილი

# აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“

| | |
|---|---|
| **მასწავლებელი:** ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა | |
| **საგანი:** ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია | **კლასი:** VIII[ა] |
| **თემა:** აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ | **დრო:** 45 წუთი |
| **მოსწავლის პროფილი:** მოსწავლეთა რაოდენობა – 31 | |

**გაკვეთილის მიზანი:**
• მოსწავლეები, მხატვრული ტექსტის გაანალიზებითა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, იმსჯელებენ ეროვნულ თვითშეგნებაზე, შეაფასებენ და დაუკავშირებენ თანამედროვეობას.

**მოსალოდნელი შედეგი:** მოსწავლეები შეძლებენ მხატვრული ტექსტის საფუძვლიან გაანალიზებას, ისტორიულ წყაროებზე მუშაობას, ტექსტში დასმული პრობლემური საკითხის, იმიტირებული სიტუაციის (მინი-სპექტაკლის, როლური თამაშების და ა.შ.) აუდიტორიის წინაშე წარდგენას, მოსაზრებების გამოთქმას, არგუმენტირებულ მსჯელობას, შეფასებას და თანამედროვეობასთან დაკავშირებას.

**ქართ.VIII.7. მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**
• მიმოიხილავს ნაწარმოებში აღწერილ ადგილს, დროს, ახასიათებს სოციალურ-კულტურულ გარემოს; აკავშირებს ამ ფაქტორებს ნაწარმოების შინაარსთან.

**ქართ. VIII.8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.**
**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**
• ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ., ჰიპერბოლას, სახე-სიმბოლოებს, ალეგორიას, მეტაფორას და სხვა) და ხსნის მათ დანიშნულებას;
• ამოიცნობს ავტორის მიერ მიზნობრივად გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას, არქაიზმებს, დიალექტურ ფორმებს, ჟარგონს, ნეოლოგიზმებს, ბარბარიზმებს და სხვა.

**ქართ. VIII.10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენეტების მოხმობით.**
**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**
• გამოხატავს და წერილობით აყალიბებს პირად განცდებსა და განწყობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას.

**ისტორია. VIII.1. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან.**
**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**
• ადგენს ცხრილს, რომელშიც სახელმძღვანელოში არსებულ თემებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ალაგებს და შესაბამის ეპოქებს მიაკუთვნებს.

**ისტორია. VIII.6. მოსწავლეს შეუძლია შეისწავლოს კონფლიქტების მიზეზები, განვითარება და შედეგები.**
**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**
• განმარტავს სახელმწიფოს ცნებას და ახასიათებს მის ძირითად ელემენტებს (მმართველობის ფორმა, სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა, პოლიტ. რეჟიმი).

**საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:**
• შეუძლია ტექსტის იდეურ-მხატვრული ანალიზი;
• ტექსტის მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების გარჩევა.
• შეუძლია, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, საჭირო ინფორმაციის ამოკრეფა;
• აქვს ჯგუფური მუშაობის და დისკუსიაში მონაწილეობის გამოცდილება.

**შეფასება და თვითშეფასება:**
• ვაკვირდები მოსწავლეების მიერ, ჯგუფური მუშაობის პრინციპით, აქტივობების შესრულების პროცესს და მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებს ვაფასებ განმავითარებელი შეფასებით (დანართი 1 – შეფასების სქემა);
• მოსწავლეთა ჩართულობას ვაფასებ განმსაზღვრელი შეფასებით (დანართი 2 – შეფასების სქემა).

**სასწავლო მასალა და რესურსები:** ქართული ენა, ლიტერატურა, VIII კლ. სახელმძღვანელო – ავტორები: ნ. მაღლაკელიძე, თ ღონღაძე, თ. ცხადაია, დ. კვანჭიანი, ნ. ღონღაძე და საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის III ტომი, „ქართლის ცხოვრება“, ლ. სანიკიძის „დედა ისტორია“; ლეო ესაკიას ფილმი „ბაში-აჩუკი“; დაფა, ცარცი, რვეული, საწერ-კალამი, მარკერები, მანიპულატივები, თაბახის ფურცლები, ფლიფჩარტი; ისტორიული წყაროები; PowerPoint-ში მომზადებული სლაიდები, კომპიუტერი, პროექტორი.

**I ფაზა: წინასწარ.**
**აქტივობა №1 – საორგანიზაციო საკითხები და მიზნის გაცნობა – 1წთ.**
**მიზანი:** მოსწავლეთა მოწესრიგება.
**აქტივობის აღწერა:** ღიმილით ვესალმები მოსწავლეებს ემპათიის მისაღებად; ჟურნალში ვაწარმოებ მოსწავლეთა აღრიცხვას, რისთვისაც მორიგეს ვთხოვ დახმარებას და მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის მიზანს.
**შედეგი:** მოსწავლეები მოწესრიგებულნი არიან გაკვეთილისათვის.

**აქტივობა №2 – გამოწვევის ფაზა – ნაწყვეტის ჩვენება ქართული მხატვრული ფილმიდან „ბაში-აჩუკი“ – 3წთ.**
**მიზანი:** მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის გამოწვევა, გაკვეთილისადმი ინტერესის გაღვივება.
**აქტივობის აღწერა:** გაკვეთილს ვიწყებ კადრების ჩვენებით ქართული მხატვრული ფილმიდან „ბაში-აჩუკი“ და კლასს ვუსვამ შეკითხვებს:
1. რომელი ფილმიდანაა ნაწყვეტი?
2. ჩვენი ქვეყნის ავბედითობის რომელი პერიოდია აღწერილი აღნიშნულ ფილმში?
3. რატომ დასჭირდა აკაკის აღნიშნული პერიოდის გახსენება?

ვფიქრობთ, რომ აკაკიმ თანადროული ყოფა XVII საუკუნეში გადაიტანა და მიძინებული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ცდილობდა.

აკაკი, ილიასთან ერთად, თერგდალეულთა დასის უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო, ისინი თითქმის იდენტურად აზროვნებდნენ, დიდი პატივით და მოკრძალებით ეპყრობოდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს. ილია, ერთ-ერთ წერილში – „ერი და ისტორია“, აღნიშნავდა: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება და გაწყალება იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს. წარსული ხომ მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს“ (ნაწყვეტი სლაიდზე). ჰოდა ჩვენც დღეს ერის ისეთ ზოგად ნაკრებ გმირზე გვექნება საუბარი, როგორც აკაკი წერეთლის ბაში-აჩუკია.

**შედეგი:** მოსწავლეები გაკვეთილის მიმართ განეწყობიან ინტერესით, უპასუხებენ კითხვებს.

**აქტივობა №3 – საშინაო დავალების პრეზენტაცია – 12წთ.**
**მიზანი:** ნაწარმოებში აღწერილი პერიოდის ისტორიულ-პოლიტიკური ყოფის მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება, ფაქტებისა და მოვლენებს შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან დაკავშირება.
**ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური.
**აქტივობის აღწერა:** 4 ჯგუფს, საპრეზენტაციოდ, წინასწარ აქვთ მიცემული შემდეგი თემები დასამუშავებლად:
I ჯგუფი: XVII ს-ის II ნახევრის საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვა;
II ჯგუფი: 1659 წლის აჯანყება;
III ჯგუფი: აკაკი წერეთლის მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“ ისტორიული პერსონაჟები;
IV ჯგუფი: გამოგონილი პერსონაჟები აკაკი წერეთლის მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“.
**შედეგი:** მოსწავლეები ხალისით ასრულებენ დავალებას, მოიძიებენ ინფორმაციას, საფუძვლიანად ეცნობიან ისტორიულ წყაროებს და მოთხრობას „ბაში-აჩუკი“, PP-ში აკეთებენ პრეზენტაციას.
**შეფასება:** ჯგუფების პრეზენტაციას განმავითარებელი შეფასების რუბრიკით ვაფასებ (დანართი 1).

**აქტივობა №4 – როლური თამაში – 12წთ.**
**მიზანი:** ტექსტში დასმული პრობლემური საკითხის, როლური საშუალებებით, აუდიტორიის წინაშე წარდგენა.
**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები, როლური გათამაშებებით, აუდიტორიის წინაშე წარმოადგენენ განსაკუთრებული პატრიოტული ხასიათის ნაწყვეტებს აკაკი წერეთლის მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი“.
**ჯგუფი I**: აბდუშაჰილისა და ზაალ ერისთავის დიალოგი;
**ჯგუფი II:** მეფესთან სადარბაზოდ მყოფი ელიზბარ ერისთავის მონოლოგი;
**ჯგუფი III:** ჯანდიერისა და ჩოლოყაშვილის დიალოგი;
**ჯგუფი IV:** აბდუშაჰილისა და მელანოს დიალოგი ბაში-აჩუკის შეპყრობასთან დაკავშირებით.
**შედეგი:** მოსწავლეები ტექსტს საფუძვლიანად შეისწავლიან, ტექსტიდან მნიშვნელოვან პატრიოტულ მომენტებს ამოკრებენ და სახიერად, როლური თამაშით წარუდგენენ აუდიტორიას.
**შეფასება:** ჯგუფებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკით ვაფასებ (დანართი 1).

**აქტივობა №5 – წერითი დავალება აქტივობის ბარათებით – 10წთ.**
**ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური.
**მიზანი:** ტექსტში მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.
**აქტივობის აღწერა:** აქტივობის ბარათებზე გამზადებული მაქვს 4 სხვადასხვა ტიპის დავალება:

**აქტივობის ბარათი 1**



**აქტივობის ბარათი 2**



**აქტივობის ბარათი 3**



**აქტივობის ბარათი 4**



**შედეგი:** მოსწავლეები შეძლებენ ტექსტიდან მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობას.
**შეფასება:** აქტივობის ბარათებით მიცემულ დავალებას შევაფასებ განმავითარებელი შეფასების რუბრიკით (დანართი 1).

**III ფაზა: შემდგომ**
**აქტივობა №6 – დისკუსია – 4წთ.**
**ორგანიზების ფორმა:** ჯგუფური.
**მიზანი:** კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა, შეფასება და თანამედროვეობასთან დაკავშირება.
**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს ვრთავ დისკუსიაში გამოსაძახებელი ჩხირების დახმარებით, შემდეგი კითხვებით:
1. ვინ მიმაჩნია გმირად?
2. როგორ მესმის სამშობლოს თავდადება?
3. რას მიჩვენებს ჩემი ქვეყნის ისტორია?
4. როგორია დღევანდელი თაობის დამოკიდებულება საკუთარი ისტორიისადმი?
**შედეგი:** მოსწავლეები შეძლებენ, აუდიტორიის წინაშე, ტექსტიდან გამომდინარე, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, არგუმენტირებულ მსჯელობას, შეფასებას და თანამედროვეობასთან დაკავშირებას.

**აქტივობა №7 – შეფასება – 2წთ.**
**აღწერა:** მოსწავლეებს ვაფასებ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის მიხედვით (დანართი 2), ხოლო ჯგუფებს – განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მიხედვით (დანართი 1).

**აქტივობა №8 – საშინაო დავალება – 1წთ.**
**აღწერა:** დავალება – მოსწავლეებს დასაწერად მივცემ თხზულებას – „რას ნიშნავს ჩემთვის საქართველოს თავისუფლება“.
**მიზანი:** მოსწავლემ წერილობით, ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად გამოყენებით, არგუმენტირებულად შეძლოს საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემა.
**შედეგი:** გამოიმუშავებენ გამართულად, არგუმენტების მოხმობით, წერის მაღალ კულტურას.




*ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა*
*სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა*

ინტეგრირებული გაკვეთილი

# ინტერაქტიული სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე

ამ წერილში განვიხილავ ინტეგრირებულ გაკვეთილს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ბუნებისმეტყველებასთან). წარმოგიდგენთ იმ მეთოდებსა და აქტივობებს, რომელიც გამოვიყენე გაკვეთილის ჩატარების დროს. ინტერაქტიული სწავლების მიზანია, მოსწავლემ, პირადი გამოცდილების საფუძველზე, შეადაროს ძველი და ახალი ინფორმაცია. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია წელიწადის დროების მახასიათებელი თვისებების ამოცნობა; მცენარეთა მყნობა პრაქტიკულად. გაკვეთილის ასეთი ტიპი ერთ საგანში არსებული ცოდნის მეორე საგანთან დააკავშირება/გამოყენების საშუალებას იძლევა.

ინტერაქტიული სწავლება საჭიროებს გაკვეთილის პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. შესაბამისად, სწავლების მიზანიც იცვლება, იგი ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

ჩავატარე ინტეგრირებული გაკვეთილი, თემაზე: „ბერიკაცი და ნამყენი“, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით. გაკვეთილი საინტერესო რომ ყოფილიყო, თემის, მიზნის, შეფასების რუბრიკების გაცნობის შემდეგ, კლასს განსახორციელებელი აქტივობები გავაცანი (ჩამოწერილი მქონდა ფლიპჩარტზე). ამ აქტივობამ მოსწავლეებში მოლოდინის სურვილი აღძრა. გაკვეთილზე განხორციელდა საგანთაშორისი კავშირი (ქართული ენა და ლიტერატურა-ბუნებისმეტყველება). გავითვალისწინე ყველა ტიპის ბავშვი, რადგან არსებობს შემსწავლელთა სხვადასხვა ტიპები – ვიზუალური, სმენითი და კინესთეტიკური. სწავლების ინტერაქტიული ხერხი მოსწავლეებში პოზიტიურ დამოკიდებულებას იწვევს, ისინი მასში ხედავენ თამაშს, რაც მათ თეორიული საფუძვლების ათვისებასა და მასალის პრაქტიკული გამოყენების დაუფლებაში ეხმარება. გაკვეთილის მიზანიც ამას ემსახურებოდა, კერძოდ, საგნობრივი ცოდნა გამოეყენებინათ პრაქტიკაში და მეტი პასუხისმგებლობა აეღოთ საკუთარ თავზე.

პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, გამოვიყენე შემეცნებითი თამაში „სიტყვის რგოლი“. ოთხ სიტყვათა რიგში მოცემული იყო წელიწადის დროების მახასიათებელი სიტყვები, მოსწავლეებს უნდა ამოეცნოთ განსხვავებული სიტყვა და დაეხასიათებინათ რატომ იყო სხვებისგან განსხვავებული. ინტერაქტიული მეთოდით სწავლების მოთხოვნის შესაბამისად, მინდოდა წინა პლანზე წამოწეულიყო მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარი, სწავლების პროცესში აქტიურობით მიეღოთ ცოდნა, გადაეჭრათ პრობლემა და გადმოეცათ, რა აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ სწავლა-სწავლების პროცესი მნიშვნელოვნად ეფექტურია მაშინ, როცა მოსწავლის ინტერესებისაკენ არის მიმართული, უვითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. ამ მიზნით გამოვიყენე აქტივობა „ჯადოსნური ყუთი“ – მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ ამ აქტივობაში. ყუთში მოთავსებული ფერადი ფურცლები დაუკავშირეს წელიწადის დროებს, დაახასიათეს ისინი .აქტივობის ძლიერი მხარე ის იყო, რომ ბავშვებმა შეძლეს წინარე ცოდნის რეალიზება, პარალელები გაავლეს ბუნებისმეტყველებაში შესწავლილ საკითხებთან, მოახდინეს საგანთაშორისი კავშირი. კარგი იქნებოდა, ფერებთან ერთად, გამომეყენებინა წელიწადის დროების ამსახველი სურათები, რომ ვიზუალისტისათვის უკეთესი ყოფილიყო ამ აქტივობის ეფექტურობა (ჩემი აზრით, ეს ამ განხორციელებული აქტივობის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს).

ახალი მასალის ახსნა შემოქმედებითად წარიმართა, გამოვიყენე ასოციაციური რუკა „გაზაფხული“. მოსწავლეებმა, თემის ირგვლივ, შეძლეს განსხვავებული პასუხების ჩამოწერა (მხოლოდ ერთი პასუხით არ შემოვიფარგლეთ), რაც მათი შემოქმედებითობის გამოვლენის საჭირო უნარს წარმოადგენს. ამის შემდეგ კლასს პრაქტიკულად ვაჩვენე მცენარეთა გამრავლების ერთ-ერთი მეთოდი – მყნობა (რადგანაც ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და ახალი მასალისთვისაც მჭირდებოდა). სწორედ ამ მიზნის განხორციელებაში დამეხმარა აღნიშნული აქტივობა (ეს აქტივობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს).

ასახსნელი ტექსტის („ბერიკაცი და ნამყენი“) კომენტირების შემდეგ, გამოვიყენე როლური თამაში, მოვაწყვეთ გამოფენა, ბავშვებმა ყურადღებით დაათვალიერეს ერთმანეთის ნამუშევრები, გაუზიარეს მოსაზრებები, რითაც გამოავლინეს კომუნიკაციის, საკუთარი აზრის დასაბუთების კარგი უნარი. გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, შევეცადე, ხელი შემეწყო მოსწავლეებში მრავალმხრივი ინტელექტის გამოვლენისთვის.

მომდევნო აქტივობისთვის – გაკვეთილის შეჯამებისთვის გამოვიყენე „შეჯამების ვარსკვლავი“ (ხუთი შეკითხვით: რა გავიგე? რა დამამახსოვრდა? რომელი აქტივობა იყო ჩემთვის ყველაზე საინტერესო? რა მეცოდინება? არ დამავიწყდება?). ბავშვებმა გაიაზრეს ტექსტი, გამოიტანეს დასკვნა, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა არ არის მთავარი, სხვების კეთილდღეობაზეც უნდა იფიქრონ. თუმცა იყო სუსტი მხარეც, კერძოდ, უკეთესი იქნებოდა, ხუთი შეკითხვის ნაცვლად, 2 ან 3 შეკითხვა გამომეყენებინა, რადგან სამიზნე ჯგუფი პირველი კლასის მოსწავლეები იყვნენ და დროის ლიმიტიც დაცული იქნებოდა.

განხორციელებულმა აქტივობებმა დამანახა, რომ გაკვეთილის მიზნისა და შედეგის მიღწევა შევძელი, გაკვეთილის ძლიერი მხარეც ეს არის.

გაკვეთილი დადებითი ემოციებით დასრულდა, ჩემი მიზანიც ეს იყო.

მაშასადამე, ინტერაქტიული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა, იპოვონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგნებს შორის კავშირი და შეძლონ ანალიზი. ეს ზრდის მოსწავლეთა აქტივობასა და ინტერესს. მასწავლებელი, კონსტრუქტივისტული სწავლებისას, პროცესის დამგეგმავი, წარმმართველი, შემფასებელი და ხელის შემწყობია.

**თამარ გიგიაძე**
*წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

*1. „განვითარებისა და სწავლების თეორიები“. დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2011წ (თემა: კონსტრუქტივიზმი);*
*2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ონლაინინსტრუმენტების გამოყენება (საკითხავი მასალა). 2018 წელი;*
*3. Maststavlebeli.ge. – ინტერნეტგაზეთი. ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვა წარმატების მისაღწევად (25.07. 2014 წელი. ეკატერინე ყიფიანი);*
*4. მოთხრობები: „ბერიკაცი და ნამყენი“ და „პეპელა და ფუტკარი“, იაკობ გოგებაშვილის მიხედვით.*

ინფორმაცია

# სასწავლო კონფერენცია



მომავალ წელს 10 წელი შესრულდება, რაც კერძო სკოლა-ლიცეუმის „მწიგნობართუხუცესი“ (დირექტორი – **დავით კახნიაშვილი**) მოსწავლეები ახორციელებენ პროექტს „არდავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა“ (ხელმძღვანელი – ქიმიის პედაგოგი, ა\დ **ქეთევან ქიქოძე**). ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, შეერთებულ შტატებში მცხოვრები (აწგარდაცვლილი), მესამე თაობის ემიგრანტის, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, შოთა ვაშაკიძის შესახებ XI კლასის მოსწავლეების: **თამუნა ხურცილავასა** და **ქეთევან ზივზივაძის** მიერ მომზადებული მონოგრაფია დავბეჭდეთ, რომელიც მათ, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართულ, მოსწავლეთა 73-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარადგინეს საერთაშორისო ურთიერთობების სექციაში.

ტრადიციულად, კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, 20 სექციაში – 700-მდე ნაშრომი. დასკვნითი ტურისთვის 301 თემა შეირჩა, მათ შორის, ბატონი შოთას შესახებ მომზადებული მონოგრაფია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, საერთაშორისო ურთიერთობების სექციიდან, სწორედ ეს თემა სცნეს გამარჯვებულად. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა, **როინ მეტრეველმა**, სიგელებით დააჯილდოვა ნაშრომის ავტორები.

# მოგზაურობა დროსა და პარალელურ სამყაროებში

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ლემშვენიერას საჯარო სკოლაში დიდი ქართველი მეცნიერის, **გია დვალისადმი** მიძღვნილი ორთვიანი პროექტი კონფერენციით დასრულდა.

პროექტის საწყის ეტაპზე ჩავატარე გამოკითხვა – იცოდნენ თუ არა მოსწავლეებმა ვინ იყო გია დვალი? ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენს სკოლაში უმცირესობაში აღმოჩნდნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც ბატონი გიას შესახებ რამე იცოდნენ. ბავშვებს შევთავაზე, ჩაგვეტარებინა კონფერენცია გია დვალზე. 15-მა მოსწავლემ გამოთქვა სურვილი. მათ მოუსმინეს გია დვალის ლექციებს, მოიძიეს უამრავი ინფორმაცია, შექმნეს მარტივი მოდელები, სცადეს გასაგები ენით ესაუბრათ პარალელურ და ჩვილ სამყაროებზე, დროში მოგზაურობაზე, შავ ხვრელზე, ღვთიურ ნაწილაკზე, ანდრონულ თერაპიაზე, კვანტურ ფიზიკაზე, ბნელ მატერიასა და ბნელ ენერგიაზე. სკოლაში გავხსენით გია დვალის სახელობის კლას-კაბინეტი (სამწუხაროდ, აღჭურვილი არ არის შესაბამისი ხელსაწყოებით).

დასაწყისშივე განვსაზღვრეთ პროექტის რამდენიმე მიზანი:
1. გია დვალისა და მისი მეცნიერული მიღწევების გაცნობა;
2. ინფორმაციის მოპოვება-დამუშავება და მოსწავლეებში კომუნიკაციისა და ურთიერთთანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბება;
3. მარტივი მოდელების შექმნა;
4. ტექნოლოგიების გამოყენება და სლაიდების შექმნა;
5. კონფერენციის მოწყობა.

**პროექტზე მუშაობის მეთოდები და ამოცანებიც მიზნიდან გამომდინარეობდა:**
- ჯგუფები შეიქმნა საგნობრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- მოსწავლეები მუშაობდნენ ინდივიდუალურად;
- თანამშრომლობდნენ ჩემთან, როგორც პროექტის ხელმძღვანელსა და ისტ-ის მასწავლებელთან (ასევე მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი, მასწავლებელი-მასწავლებელი);
- მნიშვნელოვანი იყო ვერბალური მეთოდისა და პრეზენტაციის უნარების გამოვლენა;
- საპრეზენტაციო მასალის ინტერნეტიდან მოძიება, დამუშავება, გაანალიზება;
- ბუკლეტებისა და მოსაწვევების შექმნა;
- კონფერენციის მომზადება და ჩატარება.

შესანიშნავად გამოჩნდა მოსწავლეთა აზროვნება, თანმიმდევრული და ლოგიკური მსჯელობა, სასკოლო თემის თანამშრომლობა, სათქმელის შემოქმედებითად გადმოცემის უნარები. კონფერენციის მონაწილეებმა ფიზიკაში, ისტ-სა და უცხო ენაში (გადმოთარგმნეს უცხოურ საიტებზე მოპოვებული ინფორმაცია) გაიღრმავეს ცოდნა; შესაბამისი მხატვრული, პუბლიცისტური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, დაწერეს თემები.

პროექტის დასკვნითი ეტაპი 8 მაისს ჩატარდა, მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ჟიურის შეფასებით გამოვლინდა პროექტის ფარგლებში დამუშავებული ხუთი საუკეთესო თემა. ამ თემებს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რიგით 74-ე კონფერენციაზე წარვადგენთ. საგნის პოპულარიზაციისა და დაინტერესების თვალსაზრისით, საინტერესო იყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასება, შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს, ასევე, რესურსცენტრის უფროსმა, პირველი და მეოთხე სკოლების დირექტორებმა, რომლებიც მოწვეულები იყვნენ კონფერენციაზე.

ასე „აღმოაჩინეს“ გია დვალი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან არსებული სოფელ ლემშვენიერას საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. აქ უკვე ყველამ იცის, ვინ არის ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი (რომელიც ნობელის პრემიის ანალოგიურია), ნიუ-იორკის აკადემიის „ვერცხლის პროფესორი“, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი – ბატონი გია, რომელსაც, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ უკეთ იცნობენ, ვიდრე სამშობლოში.

ვფიქრობ, საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია ასეთი აქტივობების ჩატარება. მე, როგორც საგნის მასწავლებელი და დირექტორი, ვცდილობ წავახალისო მსგავსი აქტივობები ყველა საგანში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფიზიკის კონფერენცია ყოველწლიურად იმართება და მიმაჩნია, რომ წელს საიუბილეო მე-10 კონფერენცია წარმატებულად დამთავრდა.

**გულნაზ ჭელიძე**
*გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ლემშვენიერას საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი*





ლიტერატურული სალონი

# საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება

11 მაისს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, ჩატარდა საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა შეკრება – „კალმოსანის“ შედეგების შემაჯამებელი ლიტერატურული სალონი, რომელზეც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული იყო 27 გამარჯვებული მოსწავლე. თითოეულ მათგანს ჯილდოდ გადაეცა დიპლომი და წიგნები გამომცემლობისგან „მერიდიანი“ (გამომცემლობის ხელმძღვანელი – **კახაბერ რუსიძე**) და „კალმოსანი“ (გამომცემლობის ხელმძღვანელი – **ხვიჩა ყალიბეგაშვილი**). გამომცემლობების საჩუქრების გარეშე არც შეკრების სტუმარი „ცეროდენა კალმოსნები“ დარჩენილან, რომლებიც გულისყურით უსმენდნენ უფროსკლასელ მოსწავლეებს და თამამად წარადგინეს საკუთარი შემოქმედებაც.

„კალმოსნებს“ მიესალმნენ და გამარჯვება მიულოცეს მოწვეულმა სტუმრებმა – ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორმა, **ტრისტან ჩიხლაძემ** და სასახლის ლიტერატურული სტუდიის აღზრდილმა, კომპოზიტორმა, **ნატო ცერცვაძემ**.

„კალმოსანთა“ ნაწარმოებები (შეკრების ტრადიციის თანახმად) გააანალიზა და შეაფასა ახალგაზრდა ნიჭიერმა შემოქმედმა, შეკრების ხუთგზის გამარჯვებულმა, **ნიკა ფუტკარაძემ**, რომელმაც სულ ახლახან გადმოინაცვლა მოსწავლის სკამიდან შემფასებელ სტუმართა სავარძელში. მან განსაკუთრებული ნიჭით მომადლებულ ავტორებს, პირველ ყოვლისა, წიგნიერებისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ გარდა საფუძვლიანი განათლებისა, წიგნი აძლიერებს წარმოსახვის უნარს, ხელს უწყობს მეტაფორული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც ესოდენ საჭიროა შემოქმედისთვის. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი წერის ტექნიკის შემუშავების მნიშვნელობას, სათქმელის გადმოცემის ორიგინალური ფორმის ძიების, ფრაზის სიცხადისა და სიზუსტის აუცილებლობას, რაც საბოლოოდ ავტორს თავისთავის გამოხატვის შესაძლებლობას შეუქმნის.



*„წლევანდელი შეკრება გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვანია* – თქვა „კალმოსანთა“ შეკრების ორგანიზატორმა, პოეტმა **გული სალუქვაძემ** – *წელს ჩვენ გვესტუმრა* ***გელა ბუიღლიშვილი*** *თერჯოლიდან. გელას დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს. მან, როგორც ინკლუზიურმა მოსწავლემ, შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა. გელა კალმოსანთა შეკრების ოთხგზის მონაწილეა. იგი ინტერნეტის მეშვეობით შემოგვყავდა ლიტერატურულ სალონზე. დარბაზი გულისყურით უსმენდა და ოვაციით ეხმიანებოდა მის ყოველ გამოსვლას. ოთხი წლის განმავლობაში, მან ბევრი საპატიო ჯილდო მიიღო; 2017 წელს „საქართველოს მწერალთა სახლის რჩეული“ გახდა, ასევე დაიმსახურა მწერალთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ეროვნული ბიბლიოთეკის დიპლომები, ფასიანი საჩუქრები, წიგნები.“*

წელს გელამ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ კონკურსში, სადაც დიპლომი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა. იგი მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის „კალმოსანთა“ კლუბის მეგობარია, გვიგზავნის თავის წიგნებს, ნახატებს.



წელს „კალმოსანთა“ წრის წევრმა, **თინათინ გელაშვილმა** გადაწყვიტა, უფრო ახლოს გასცნობოდა გელას შემოქმედებას, ინტერნეტით დაუკავშირდა და გაოცებული დარჩა მისი ცოდნით, დასმულ შეკითხვებზე გონიერი პასუხებით. ასე შეიქმნა ჩანახატი „წერილი პოეტს“.

ვფიქრობდით, გელა ინტერნეტით შემოგვეყვანა დარბაზში, მაგრამ, ამჯერად, მშობლების დახმარებით, მან შეძლო თავად ჩამოსულიყო თბილისში და გვწვეოდა სასახლეში. გელამ „კალმოსანში“, ყველა გამარჯვებულს, საჩუქრად თავისი წიგნი „მოლოდინი“, ავტოგრაფით, ჩამოუტანა. გაიმართა გულთბილი საუბრები. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მოზარდებს გელამ თავისი კოორდინატები დაუტოვა. გაფართოვდა გელას მეგობართა, გულშემატკივართა წრე. ახლა ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება.

**გული სალუქვაძე**
*„კალმოსანთა“ შეკრების ორგანიზატორი-პედაგოგი, პოეტი*

## ნაწყვეტი ჩანახატიდან „წერილი პოეტს“

– თიკო, შენ გელუკას იცნობ? – მკითხა ერთ დღეს მასწავლებელმა. თავი გავაქნიე, უარის ნიშნად.

– გელა „კალმოსანთა“ შეკრების ოთხგზის მონაწილეა და ჩვენთანაც იყო ჩამოსული სასახლეში. ეს მისი წიგნია, – მან მომაწოდა პატარა წიგნი სევდიანი ყდით, მოღუშული ფერებითა და ქოლგიანი ადამიანებით: *„მოლოდინი“. გელუკა ბუიღლიშვილი.*

გამიტაცა კითხვამ. ეტყობა, შეამჩნია მასწავლებელმაც და „მოლოდინი“ სახლში გამატანა. სახლამდე ვერ მოვითმინე – მეტროში იმდენი დრო მქონდა... დავიწყე კითხვა. კითხვებიც მაშინვე გამიჩნდა ავტორთან: როგორ წერდა და რა ხდებოდა მის შემოქმედებით სამყაროში.

გელუკა ბუნებასა და გარემოს ისე აღწერს, თითქოს რასაც კითხულობ, იმის მომსწრეც ხარ და გამგონეც. გელუკა უფლებას არ გვაძლევს, უიმედოდ შევხედოთ ცხოვრებას მისი მოთხრობების წაკითხვის შემდეგ. ვფიქრობ, უნდა უარვყოთ, უნარშეზღუდულნი ეწოდოთ გელუკას მსგავსი ნიჭითა და შესაძლებლობებით დაჯილდოებულ ადამიანებს, რადგან ასეთი უნარი ცოტას თუ აქვს.

კითხვები ჩამოვწერე და იმ საღამოს დავუკავშირდი.

– გელუკა, გამარჯობა, მე შენ გული მასწავლებლის წყალობით გიცნობ. გავეცანი შენს წიგნსაც, რომელიც ძალიან მომეწონა. მაინტერესებს, შენთვის როგორი გარემოა კომფორტული მსგავსი ჩანახატების შექმნისთვის?

პასუხმაც არ დააყოვნა:

– უფრო მეტად სიწყნარეში ვმუშაობ, განმარტოებით. ხმაურში წერას ყველაზე მეტად ვერიდები.

გამიხარდა, კარგი რესპონდენტი აღმოჩნდა.

– გელუკა, მითხარი, რა არის შენთვის თავისუფლება?

– ო..., თავისუფლება, ჩემი აზრით, სხეულზე მეტად სულის თავისუფლებაა. როცა სულიერ თავისუფლებას გრძნობ, მაშინ თითქოს ფრთები გესხმება, არავის წინაშე დაიჩოქებ, პირმოთნე არ გახდები, უშიშარი ხდები. მახსენდება ნ. ლორთქიფანიძის „მონა“ – ნამდვილი თავისუფლება შეიგრძნობა მაშინ, როცა სულისა და სხეულის ერთობლიობას მიაღწევ.

გავოცდი და პირველი, რაც თავში მომივიდა, მინდოდა, ეს პასუხი იმ 19 წლის ბიჭებს მოესმინათ, რომელთაც ძალ-ღონე აქვთ, თუმცა, ფუჭად. გელუკა კი 19 წლისაა და უკვე ჩამოყალიბებული და შემდგარი პიროვნებაა.

გელასთან საუბრისას კიდევ უფრო მეტი შევიტყვე მის შესახებ: ცხოვრობს თერჯოლაში, სოფელ ნახშირღელეში. თავისუფალ დროს წერს ან კითხულობს. ჰყავს საყვარელი მხატვრები: მონე, მანე, პისარო, სეზანი, პიკასო და გუდიაშვილი. თავადაც ხატავს, თან ძალიან კარგად – ცნობილი პოეტის, ფილიპის ჰაიკუების წიგნი ჩანახატებით გააფორმა. უყვარს საოპერო მუსიკა. მისი საყვარელი კომპოზიტორები არიან მოცარტი და სალიერი.

გელუკას უყვარს იტალია და ამ ქვეყნის კულტურაც კარგად იცის, ასევე, ენაც, რაც ერთი მოთხრობიდანაც („მოგზაურობა იტალიაში“) ჩანს, სადაც გელუკა თქვენც აღწერილი მოვლენისა და კულტურის მოქმედ პირად გაგრძნობინებთ თავს.

გელუკას უყვარს კითხვა. „მოლოდინში“ კარგად ჩანს, რომ ძალიან უყვარს ანა ფრანკი. უყვარს ლიტერატურა, პოეზია და მუდამ ძიებაშია. აინტერესებს ანტიკური ეპოქა.

როცა ვკითხე, როგორი ადამიანები გიყვარს-მეთქი, ასეთი პასუხი მივიღე: *„მიყვარს ადამიანები, მაგრამ არ მიყვარს პირმოთნეობა, სიხარბე, შური, ეგოიზმი, ღალატი, ყოყოჩობა, ზერელობა. არ მიყვარს, როგორც დოჩანაშვილი წერს, „გავძეხი“ ხალხი. მიყვარს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც ფიქრობენ, აზროვნებენ და მკერდში ქართული გული უცემთ.“* იგი ადამიანებში აფასებს იუმორის გრძნობასა და პატრიოტულ სულისკვეთებას.

გელას შემოქმედებაში განსაკუთრებით მომეწონა ლექსი „არ დაუკრათ“:

*„არ დაუკრათ, სირცხვილია, არ დაუკრათ!*
*სამაგისო დღე ჯერ ჩვენ არ დაგვდგომია,*
*გაიხედეთ, მტერი როგორ აშლილა და*
*მოსასპობად თავზე როგორ დაგვდგომია.*
*არ დაუკრათ, აბა, ტაში ვის რას არგებს?*
*რა დროს ლხინი, მოლხენა და ხალისია?*
*თქვენ არ იცით, თუ რა მოაქვთ მოკლე აზრებს,*
*ბრძნული აზრი რა ღირს რისი მაქნისია!“*

**თინათინ გელაშვილი**
*მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის კალმოსანთა წრის წევრი, XI კლასის მოსწავლე*

გამოცდილება

# პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი „ნაგავი ჩვენ ირგვლივ“

სკოლის უმთავრესი ამოცანაა მოზარდის პიროვნებად აღზრდა-ჩამოყალიბება. ვფიქრობ, ცოდნა ვერ იქნება ღირებული, თუ მასწავლებელი, საგნის სწავლებასთან ერთად, არ შეეცდება მოზარდში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

გაკვეთილის თემა – **„ნაგავი ჩვენ ირგვლივ“** მაძლევდა საშუალებას, მოსწავლეებს თავად აღმოეჩინათ პრობლემა, ესაუბრათ მის გამომწვევ მიზეზებზე, შეეფასებინათ ის, ემსჯელათ და მისულიყვნენ დასკვნამდე – რა უნდა გავაკეთოთ რიგითმა მოქალაქეებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

კლასი დავყავი ოთხ ჯგუფად: „მზე“, „წყალი“, „ჰაერი“, „მიწა“ (იმისთვის, რომ დედამიწაზე სიცოცხლე იყოს, სწორედ ეს ოთხი ფაქტორია საჭირო), მე კი მოქალაქეს წარმოვადგენდი, რომელიც ყველაფერს იღებდა მათგან.

**აქტივობა №1.**

ჯგუფებს უნდა ესაუბრათ საკუთარ თავზე – რა სარგებლობა მოაქვთ ჩვენთვის, ადამიანებისთვის.

მოსწავლეებს შევთავაზე ბარათები, რომლებსაც აქვთ „მზის“, „ღრუბლის“, „დედამიწისა“ და „ზღვის“ ფორმა.

მოცემული ბარათების მიხედვით, მათ წერილობითი ფორმით უნდა ჩამოაყალიბონ, რა მნიშვნელობა აქვთ მათ ადამიანებისათვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი – ჩემთვის, ჩვეულებრივი მოქალაქისთვის.

მსჯელობენ, წერენ და ატარებენ პრეზენტაციას.

მოსწავლეების პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, მე, როგორც მოქალაქე, მივმართავ მათ: ***ვხედავ, თქვენი როლი მართლაც დიდია, მაგრამ მე არ გიფრთხილდებით თქვენ – გამღვრევთ, განაგვიანებთ, გწამლავთ.***

რა მოხდება,ი თუ ასე გავაგრძელებ?!

**აქტივობა №2.**

ჩემ მიერ პირველი აქტივობისას დასმულ შეკითხვაზე, მოსწავლეები მსჯელობენ, წერენ და ამზადებენ პრეზენტაციას. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ **პრობლემას მე მათ კი არა, საკუთარ თავს ვუქმნი.**

**აქტივობა №3.**

პირველი და მეორე აქტივობის ირგვლივ მსჯელობას ვაგრძელებთ მანამ, სანამ მოსწავლეები მკაფიოდ არ დაინახავენ და არ ისაუბრებენ იმ საკითხზე, რომ ჩემი, როგორც მოქალაქის, ქმედებები საბოლოოდ შეიძლება ბუნებრივი კატასტროფების მიზეზი გახდეს.

თითოეული ჯგუფი პრეზენტაციას იწყებს სიტყვით – **გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ!**

მოსწავლეები ვარაუდობენ რა შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანი არ გაუფრთხილდება ბუნებას, რა ეკოლოგიური საფრთხეებია მოსალოდნელი.

ისინი საინტერესოდ მსჯელობენ, კამათობენ და გამოაქვთ დასკვნა, რომ **ასე გაგრძელება შეუძლებელია!**

ვსვამთ კითხვას, ვინ უნდა იზრუნოს ბუნებაზე?!

მსჯელობისა და კამათის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ **ჩვენი ეზოს მიღმაც, ჩვენი მოსავლელია!**

**მოსწავლეებს ვთავაზობ, სიტუაციურ ამოცანებს:**

1. **ტყეში პიკნიკზე**
რა შეიძლება გააკეთოს კარგმა და ცუდმა მოქალაქემ;
2. **ტყის პირას კოცონი „ბჟუტავს“**
რა შეიძლება გააკეთოს კარგმა და ცუდმა მოქალაქემ;
3. **ბავშვები ნორჩი ხის ტოტებს ამტვრევენ**
რა შეიძლება გააკეთოს კარგმა და ცუდმა მოქალაქემ;
4. **ზღვის პირას სიმინდი ვჭამე**
რა შეიძლება გააკეთოს კარგმა და ცუდმა მოქალაქემ.

გაკვეთილი სრულდება დღის გზავნილით, რომელსაც თითოეული მოსწავლე აყალიბებს, ჯგუფისგან დამოუკიდებად.

**დასკვნა:** ვფიქრობ, ეს გაკვეთილი ჩემი პატარა მოსწავლეებისთვის საინტერესო და სასარგებლო იყო, რადგან, კონკრეტულ მაგალითებ-



ზე მსჯელობით, საკუთარ თავშიც აღმოაჩინეს მოქალაქის ვალდებულებები და დაიწყეს ფიქრი, როგორ გახდნენ უკეთესი მოქალაქეები.

**ლეილა ქათამაძე**
*ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის მეორე კლასის მასწავლებელი*

პროფესია პედაგოგი

# დამრიგებელი და მოსწავლე

ჩვენი სამყარო უწყვეტად ვითარდება. ამ განვითარებამ, გლობალიზაციის პროცესმა და სხვადასხვა ინოვაციურმა მიდგომებმა უამრავი კითხვის ნიშანი გააჩინა არა მარტო ყოფით ცხოვრებაში, არამედ განათლებაშიც. შეიცვალა მიდგომები როგორც მოსწავლის მასწავლებლის მიმართ, ისე მასწავლებლის მოსწავლის მიმართ.

ისტორიული განვითარების პროცესში იცვლება გარემო, რომელშიც ბავშვი ვითარდება, ასევე, იცვლება სწავლების შინაარსი და მეთოდები. ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ცნობიერებაზე, მის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. თითოეული ასაკი თავისებურად განსხვავებული ეტაპია, სავსეა ცვლილებებით, სპეციფიკით და, ერთობლივად, აყალიბებს ბავშვის პიროვნებას.

ამ ცვლილებათა გათვალისწინებით, მასწავლებელთა წინაშე ახალი გამოწვევები ჩნდება. განსაკუთრებით მოსწავლეთა ქცევასთან, დამოკიდებულებებთან და მიდგომებთან დაკავშირებით.

დიმიტრი უზნაძე წერდა: *„სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. სკოლა დემოკრატიულად უნდა იყოს მოწყობილი. მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითშემოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას“.*

დღევანდელი სკოლა ხომ ის მომავლის სკოლაა, რომელზეც დიმიტრი უზნაძე მიუთითებდა, ამიტომ ჩვენი, აღმზრდელების პირდაპირი მოვალეობაა, „სკოლის მოქალაქეებს“ დავეხმაროთ იმ ფასეულობების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მათ თვითრეალიზაციაში დაეხმარება.

გერქვას პედაგოგი, მით უფრო დამრიგებელი, ნიშნავს იყო შენი საქმის კარგი მცოდნე, იყო ფსიქოლოგი, მეგობარი, მესაიდუმლე. დამრიგებელი ხომ მოსწავლის მრჩევლად მოიაზრება, იმ დიდ მეგობრად, რომელიც შესაძლოა მას სკოლის ფარგლებს გარეთ ვერ უპოვია.

ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, დამრიგებლის უფლება-მოვალეობანი მკაფიოდაა გაწერილი. ეს დამრიგებლისგან მოითხოვს, იზრუნოს მოსწავლის:

1. პიროვნულ განვითარებაზე;
2. მორალურ განვითარებაზე;
3. ფიზიკურ განვითარებაზე;
4. შემეცნებით-კულტურულ განვითარებაზე;
5. სოციალურ განვითარებაზე.

დამრიგებელი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებებისა თუ მოვალეობების გაცნობიერებაში. ამ ჩამონათვალიდან გამოვყოფდი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებას.

ლევ ვიგოტსკი ასაკს განიხილავდა, როგორც განვითარების განსაზღვრულ ეპოქას, ციკლს, რომელშიც განვითარების ზოგადი კანონები თავისებურადაა გამოხატული: ერთი ასაკობრივი საფეხურიდან მეორეში გადასვლისას ახალი, მანამდე არარსებული თავისებურება ჩნდება, რომელიც მასწავლებელმა, მით უფრო დამრიგებელმა, უნდა აღმოაჩინოს და ყურადღება მიაქციოს. განსაკუთრებით პრობლემურია მოზარდობის ასაკი (10-15 წელი), როდესაც მოსწავლეებში არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქიკური და სულიერი ცვლილებები ხდება. დამრიგებელმა, როგორც საუკეთესო „მრჩეველმა“ სწორი მიმართულება უნდა მისცეს მოზარდს.

როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, შესაბამისად, მოზარდის უადგილო თუ რთულ ქცევას თავისი წინაპირობა ყოველთვის აქვს, ამიტომ ჩვენი, როგორც დამრიგებლების, მოვალეობა არა ქცევის შედეგების, არამედ მიზეზების ძიებაა. ხშირად მოზარდების რთულ და გაუგებარ ქცევას კონკრეტული წინაპირობები აქვს: ოჯახური პრობლემა, სოციალური გარემო, თვითდამკვიდრების სურვილი, უფროსებთან დამოკიდებულება. საყურადღებოა, რომ ამ პრობლემების მოგვარებაში დამრიგებელს ლომის წილი უნდა მიუძღოდეს, მაგრამ იმისათვის, რომ მოსწავლემ პრობლემა გაგვიზიაროს, დამრიგებლის ნდობა და სიყვარული უნდა იგრძნოს, რაც, შეიძლება ითქვას, ჩვენს მოზარდებს აკლიათ. სამწუხაროდ, ყოველდღიურმა პრობლემებმა სითბოსა და სიყვარულის გაცემის თუ მიღების უნარი დაუქვეითა როგორც დიდებს, ასევე პატარებს. არადა ახალი თაობა უფროსებისგან მეტ ყურადღებასა და სითბოს მოითხოვს. დამრიგებელი კი ის ადამიანია, რომელსაც ამ დანაკლისის შევსება შეუძლია.

დღესაც თვალწინ მიდგას გაკვეთილი, როდესაც რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დამრიგებელი“ ავხსენით. საოცარი რეაქცია გამოიწვია ნაწარმოებმა. მოსწავლეებმა კითხვები დამაყარეს:

– მასწავლებელო, დამრიგებელი ბიჭზე უფრო ღარიბი იყო?

– დამრიგებელს არ შერცხვა სიღარიბის აღიარების?

– იმიტომ გაგზავნა თავის სახლში, რომ ოჯახური მდგომარეობა ეჩვენებინა?

დაკვირვებით ვარჩევდით ტექსტს და ვამჩნევდი, როგორ ეცვლებოდათ მოსწავლეებს გამომეტყველება, ზოგს გაკვირვება ეხატებოდა, ზოგს ეღიმებოდა, ალბათ პარალელებს ავლებდნენ. გაკვეთილი შევაჯამეთ. კითხვა დავსვი: რა აჩვენა ამ საქციელით ბიჭს დამრიგებელმა?

პასუხი: ნდობა და სიყვარული.

თამარ ქორიძე
*სსიპ ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლის*
*ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი პედაგოგი*

**P.S.** მე ძალიან კარგი დამრიგებელი მყავდა და ვცდილობ, მას მივბაძო.

ინფორმაცია

# მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა იწყება

ბათუმში, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, 7 ჰექტარ ფართობზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **მამუკა ბახტაძის** მიერ ინიცირებული ახალი მულტიფუნქციური საგანმანათლებლო კომპლექსის, „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ მშენებლობა იწყება. პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ მთავრობის მიზანია, მსგავსი პროექტები საქართველოს ყველა კუთხეში განხორციელდეს, რათა ახალგაზრდებმა თავიანთი ნიჭისა და ცოდნის სრულფასოვანი რეალიზაცია შეძლონ. პროექტი მთავრობის მეთაურმა პირადად წარადგინა.

მან აღნიშნა, რომ წელს განათლების ბიუჯეტი 1,6 მილიარდი ლარია, მომავალ წელს – 2 მილიარდი გახდება, 2021 წელს – 2,5 მილიარდი, ხოლო 2022 წელს ბიუჯეტის მეოთხედს – 3,4 მილიარდ ლარს გაუტოლდება. ბიუჯეტის მეოთხედის მიმართვა განათლებაზე, მომავალ თაობაზე, მასწავლებლებზე, პროფესორებზე, ახალგაზრდა მეცნიერებზე, იმ ხალხზე, რომლის მხრებზეც ქართული სახელმწიფოებრიობა და საქართველოს მომავალი დგას, სწორედ ეროვნული იდეის განხორციელებას ემსახურება.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტის მნიშვნელობას, რომელიც შემდეგი ათწლეულების განმავლობაში ყველა მთავრობას დაავალდებულებს, ბიუჯეტის ყველაზე დიდი რესურსი არა მომდევნო არჩევნებში, არამედ ქვეყნის მომავალში მიმართოს.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე კომაროვის სკოლას, საერთო საცხოვრებელს, პროფესიული განათლების ცენტრს, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, სახელოვნებო სკოლებს, სპორტულ მოედნებსა და სარეკრეაციო სივრცეს გააერთიანებს.

*„განათლების და მეცნიერების ქალაქი ბათუმში, ისევე როგორც თბილისში, იქნება ამ ყველაფრის გამაერთიანებელი კერა ჩვენი შვილებისთვის,“* – განაცხადა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა. მან მადლობა გადაუხადა პრემიერს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მეცნიერების ქალაქის დაარსებაში მონაწილეობს.

# ქართველი მოსწავლეების გამარჯვება

არიზონას შტატის ქ. ფინიქსში (აშშ), Intel-ISEF-ის პრესტიჟულ სამეცნიერო- საინჟინრო საერთაშორისო კონკურსზე, რომელშიც მსოფლიოს 80 ქვეყნის 2500 მოსწავლე ეჯიბრებოდა ერთმანეთს, გამარჯვებულები გამოვლინდნენ. I ადგილის სპეციალური ჯილდოს – SPIE - Optics and Photonics Special Award მფლობელები საქართველოს წარმომადგენლები გახდნენ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გრანპრის მფლობელები, სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-GESS-ის მოსწავლეები – **დეა ილარიონოვა**, **შორენა გუჯაბიძე** და **მარინა გუჯაბიძე**.

გამარჯვებულმა მოსწავლეებმა საერთაშორისო კონკურსზე წარადგინეს პროექტი Health care – გარემოს მრავალფუნქციური მონიტორინგის სისტემა.

# ხელოვნება სკოლაში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა პროექტი „ხელოვნება სკოლაში“ წარადგინა. *„სწორედ კულტურა უნდა იყოს, რეფორმის ფარგლებში, განათლების განუყოფელი ნაწილი, ანუ კულტურა ყოველდღიურ ცხოვრებაში, საგაკვეთილო პროცესებში... ათასობით ბავშვია უკვე ჩართული ამ პროექტში დედაქალაქში და რეგიონებშიც.“* – ამბობს მიხეილ ბატიაშვილი. მისივე თქმით, პროექტი, რომელიც საპილოტედ მაისის თვიდან ამოქმედდა, სექტემბრიდან საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში გავრცელდება.

პროექტი „ხელოვნება სკოლაში“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის კომპონენტის გაძლიერებასა და მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას ისახავს მიზნად. როგორც განათლების მინისტრი ამბობს, ეროვნული კულტურა განათლების განუყოფელი ნაწილია და მისი განათლების სისტემაში ინტეგრირება რეფორმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

პროექტი „ხელოვნება სკოლაში“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში „ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში ინერგება. იგი კულტურის სამ მნიშვნელოვან სფეროს აერთიანებს და შემდეგ პროგრამებს მოიცავს: „სკოლა მუზეუმში“, „სკოლა თეატრში“ და „კინო სკოლაში“.

- პროგრამა **„სკოლა მუზეუმში“** საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების სასწავლო რესურსად გამოყენებას გულისხმობს. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისათვის შეირჩა ისეთი სამუზეუმო ექსპონატები, როგორებიცაა: უძველესი ადამიანის ნაშთები, უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ბუნების ისტორიის ამსახველი მასალა, შუა საუკუნეების უმდიდრესი მემკვიდრეობა და თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები. ამ ყველაფერს მოსწავლეები მუზეუმებში ორშაბათობით ნახავენ, როდესაც საგამოფენო სივრცე დამთვალიერებლისთვის დახურულია, სწორედ ამ დღეს ეწვევიან მუზეუმებს სკოლის მოსწავლეები.

**დავით ლორთქიფანიძე**, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი: *„ორშაბათობით, როდესაც მუზეუმები დახურულია, იქნება სპეციალური პროგრამები სკოლებისთვის. ეს პროგრამები ჩვენს რამდენიმე მუზეუმში განხორციელდება, პროგრამის პედაგოგები იქნებიან როგორც გიდი-პედაგოგები, ისე აქტიური მეცნიერები. ეს, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ჩვენი მემკვიდრეობის ინერაქტიულად წარმოჩენას.“*

- პროგრამა **„სკოლა თეატრში“**, საქართველოს წამყვანი თეატრების რეპერტუარიდან, მოსწავლეთათვის ისეთი სპექტაკლების ჩვენებას ითვალისწინებს, რომლებიც ახლოსაა მათ სასწავლო პროგრამასთან. მოზარდებს შესაძლებლობა ექნებათ, დაესწრონ სცენის მიღმა მიმდინარე პროცესებს, სპექტაკლის შემდეგ კი, პირადად გაეცნონ მსახიობებს და სპექტაკლის შესახებ რეცენზიებიც დაწერონ.
- პროგრამა **„კინო სკოლაში“**, კინოხელოვნების პოპულარიზაციის გზით, მოზარდებში ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. სკოლებში, კვირაში ერთხელ, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, სხვადასხვა აქტივობა დაიგეგმება, რომლის დროსაც მოსწავლეები მიიღებენ საბაზისო ცოდნას კინემატოგრაფიის შესახებ და ნახავენ სპეციალურად შერჩეულ ქართულ და უცხოურ ფილმებს, ჩვენების ბოლოს დისკუსია გაიმართება.

პროგრამა „კინო სკოლაში“, 2014 წლიდან, მხოლოდ რეგიონებს მოიცავდა. ახლა პროგრამა თბილისშიც გავრცელდება. ბავშვებს კინემატოგრაფიის შესახებ ცოდნას კინომცოდნეები მიაწოდებენ.

**კოტე ჩლაიძე**, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი: *„უკვე მეხუთე წელია, რაც ამ პროექტს ვახორციელებთ და გვგონია, რომ ძალიან საჭირო და წარმატებული პროექტია. ნამდვილად საჭიროა, რომ ხელოვნება სკოლებში შევიდეს.“*

პროექტი „ხელოვნება სკოლაში“, როგორც განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, საინტერესოსა და მოსწავლეებისთვის მიმზიდველს გახდის. სამინისტროში განმარტავენ, რომ განათლების სისტემაში ეროვნული კულტურის ინტეგრირება რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. სექტემბრიდან პროექტი ფართომასშტაბიანი გახდება და მთელ საქართველოს მოიცავს.

# შემეცნებითი გაკვეთილი

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ორგანიზებით, მე-10 და 64-ე საჯარო სკოლებში, მორიგი საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილი ჩატარდა. გაკვეთილებს მესამე და მეხუთე კლასების მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ბავშვებმა, ინტერაქტიულ რეჟიმში, მიიღეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- რას ნიშნავს ცხოველის კეთილდღეობა;
- მიუსაფარი ცხოველების პრობლემები და საჭიროებები;
- რა უფლებები აქვს ცხოველს;
- შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესები და პატრონის ვალდებულებები;
- მიუსაფარ ცხოველებთან ურთიერთობის წესები.

მოსწავლეებმა ერთმანეთს ქუჩის ცხოველებისადმი მზრუნველობის საკუთარი მაგალითები გაუზიარეს და მათ საჭიროებებზე იმსჯელეს. გაკვეთილის ფარგლებში, ბავშვებმა მოკლემეტრაჟიანი ფილმები ნახეს და პატრონის მიერ ცხოველის მიტოვების პრობლემაზე ისაუბრეს.

საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილი მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში ტარდება და მისი მიზანია, ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია, მოსწავლეებში შინაური ცხოველების მიმართ ემპათიისა და ჰუმანური განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

გამოცდილება

# მედიაწიგნიერების როლი ინტეგრირებულ გაკვეთილებზე

*„მე მყავს ექვსი გულწრფელი მსახური. მათ მასწავლეს ყველაფერი, რაც მე ვიცი. მათი სახელებია: რა? რატომ? როდის? როგორ? სად? ვინ?“*

რადიარდ კიპლინგი

მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა *„წააგავს იმ ხიდს, რომელიც მოზარდებმა უნდა გადონ ცოდნიდან რეალურ ცხოვრებისეულ ქცევებამდე. ამ ხიდის თითოეული ფიცარი არის ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევა, რაც ცხოვრებაში ეხმარება ადამიანს, რათა ცოდნა გადააქციოს ჯანსაღ ქცევებად. თუ ამ ხიდის „ფიცრები ამოცვივდება“, ადამიანი შეიძლება ჩავარდეს პრობლემების „ზღვაში“, სწორედ ამიტომ... სწავლება არ ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მოამარაგოს მოზარდები კარგი ცოდნით, არამედ აღჭურვოს ისინი სასარგებლო უნარ-ჩვევებით, რომელიც დაეხმარება მათ უკეთ გამოიყენონ ეს ინფორმაცია ჯანსაღი და ბედნიერი ცხოვრებისათვის“.*

ინფორმაცია დღეს ყველგან და ყველასთვის ხელმისაწვდომია, განსაკუთრებით ინტერნეტის საშუალებით, მაგრამ ჩვენამდე ეს ინფორმაცია „გაუფილტრავი“ სახით მოდის და ბადებს კითხვებს მისი ავთენტურობის, ვალიდურობის და სანდოობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ინფორმაცია მოგვეწოდება მრავალფეროვანი მედიასაშუალებებით, ზოგჯერ – საეჭვო ხარისხის, ამიტომ, ინფორმაციის ეფექტურად გამოსაყენებლად, საჭირო ხდება უნართა ნაკრები. ინფორმაციული წიგნიერება უწყვეტი განათლების საფუძველს ქმნის. ის საერთოა ყველა დისციპლინისათვის, ყველა სასწავლო გარემოსთვის და განათლების ყველა საფეხურისთვის. ამის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა მედიაწიგნიერება, როგორც კომპეტენცია, სანდო უნარი, რომელიც გვჭირდება.

როგორ მოვახერხოთ სასწავლო გარემოში ინფორმაციული წიგნიერების ინტეგრაცია? რამდენიმე რჩევა, რომელიც ყველა პედაგოგს გამოადგება:

- დავაკვირდეთ რაზე საუბრობენ მოზარდები თავისუფალ დროს, რომელ მედიას უსმენენ;
- დავეხმაროთ მათ, რომ არა მხოლოდ გააანალიზონ ინფორმაცია, არამედ თავადაც შექმნან;
- შეძლონ დისკუსიის გამართვა ნასწავლი და მედიაში გავრცელებული ტექსტისა და სიუჟეტის ურთიერთობის შესახებ;
- დააკვირდნენ და გააანალიზონ როგორ აღწერს მწერალი ამა თუ იმ მოვლენას ნაწარმოებში და როგორ შეიძლება განსხვავებულად წარმოაჩინოს ის რეჟისორმა. რით განსხვავდება კინოფილმის კომერციული შედეგები წიგნისა თუ თამაშის ვერსიების შედეგებისგან?
- რას ცვლის ტექნიკური განსხვავება თხრობის მანერაში?
- რა გავლენას ახდენს ეს განსხვავებები ამბის ნათელ თუ ფარულ მნიშვნელობაზე?

სწორედ ამ გამჭოლ კომპეტენციაზე დაყრდნობით ვატარებ გაკვეთილებს: მეექვსე და მეცხრე კლასებში – ქართული ენასა და ლიტერატურაში, მეათე კლასში – XIX-XX საუკუნის დასავლურ ლიტერატურაში(არჩევითი საგანი).

თუმცა, ხშირად მესმის მასწავლებლებისგან – დამატებით ვმუშაობ მოსწავლეებთან, რომ უკეთეს შედეგს მივაღწიო ან სხვადასხვა მეთოდების მოძებნა მიწევს რთული ქცევის მქონე მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, ამიტომ დრო აღარ მრჩებაო. ხშირად სვამენ კითხვას: რატომ მედიაწიგნიერება? განა არ არსებობს მედიაწიგნიერების გარეშე ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები, რადიო? მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ, რომ ეს ის გამჭოლი კომპეტენციაა, რომელშიც მოსწავლეები ხალისით არიან ჩართული, აქტიურები არიან და გააზრებულ არჩევანს აკეთებენ, თანაც ცოდნის დაგროვება და შენახვა უფრო მეტია.

მედიაწიგნიერება დამეხმარა ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარებაში (ქართულის ისტორიასთან), კერძოდ, VI კლასში, თემა იყო მუხრან მაჭავარიანის ლექსი „ვახტანგმა წყალი ისურვა,“ რომლის მთავარი სათქმელი თბილისის დაარსებაა. ისტორიაშიც (ახლა „ჩვენი საქართველო“ ჰქვია) ისწავლეს „ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ“, პარალელურად, ინტერნეტში მოვიძიე ანიმაციური ფილმი, თბილისის დაარსების შესახებ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი. მხატვრული ტექსტი, ლეგენდა და ანიმაციური ფილმები ერთმანეთს შევადარეთ-შევაპირისპირეთ. მოსწავლეებმა შეძლეს მსგავსება-განსხვავებების დადგენა (ვენის დიაგრამის საშუალებით), იმუშავეს ვ.მ.ვ. სქემაზე, მაგრამ საუკეთესო და ყველაზე საინტერესო მაინც მედიასიუჟეტი აღმოჩნდა – „უნიკალური აღმოჩენა თბილისში“.

სიუჟეტი მოგვითხრობს XXI საუკუნის აღმოჩენაზე, თბილისთან დაკავშირებით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მეტეხის ხიდთან, აკლდამაში, ნაპოვნია I საუკუნით დათარიღებული ჭურჭელი, რომელზეც ხოხობია გამოსახული. მეტეხის ხიდთან, ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოაჩინეს ციხის გალავანი, რომელიც ვახტანგ გორგასლის პერიოდს განეკუთვნება. იქვე მიაკვლიეს სასახლის უფრო ძველ ფენებსაც, რაც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობამდე ბევრად ადრინდელ ხანას მოიცავს. ასევე ნაპოვნია I-II საუკუნის რომაული აბანო, IV საუკუნის მარანი და სხვადასხვა დროის სამარხები, ძვირფასი კერამიკული ჭურჭელი და უნიკალური ლარნაკები, რომლის მსგავსი მანამდე არავის უნახავს. ასევე აღმოჩენილია სამი აბანო და თიხის მილები, საიდანაც ცხელი გოგირდოვანი წყალი მოკირწყლულ აუზებში ჩაედინებოდა. არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელის, მერაბ ძნელაძის აზრით, შესაძლოა, სამუშაოების დასრულების შემდეგ ამ აღმოჩენამ თბილისის დაარსების ისტორია სრულიად შეცვალოს.

ამ სიუჟეტმა განსაკუთრებით საინტერესო გახადა კვლევა-ძიება: იქნებ არსებობს სხვა სიუჟეტებიც, რომელიც გაამყარებს ამ აღმოჩენას. რითაც დაინტერესდნენ მოსწავლეები. ინფორმაციის მოძიება გრძელდება.

გაკვეთილის მზადების დროს, შემდეგ გაკვეთილზე, უპირველესად, ყურადღება მივაქციე ფაქტების სისწორეს/სიზუსტეს – რა არის ამ ინფორმაციის წყარო? მეცნიერულად სანდოა? რატომ? წავახალისე კრიტიკული აზროვნება – მოსწავლეებს დავეხმარე საკითხის მრავალი ასპექტის დანახვაში ისე, რომ ჩემმა შეხედულებებმა მათზე გავლენა არ მოახდინა.

ასევე წარმატებით გამოვიყენე მედიაწიგნიერება მეცხრე კლასში, რეზო თაბუკაშვილის „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის“ შესწავლისას. ერთად ვუყურეთ ნიკოლოზ მაისურაძის ფილმს „ექვთიმე თაყაიშვილი“; რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტურ ფილმს „ექვთიმე თაყაიშვილი“. შევძელით სამეცნიერო აზრისა და პირადი მოსაზრების გამიჯვნა. მოსწავლეებს ვკითხე, რატომ ფიქრობენ ასე? რომელია მეცნიერული არგუმენტები? და სხვ.

არანაკლებ საინტერესო იყო, კვლავ მეცხრე კლასში, ნუგზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ მედიაწიგნიერების ჭრილში განხილვა.

**გაკვეთილის მიზნები წინასწარ განვსაზღვრე შემდეგნაირად:**

- ნაწარმოების თემის, იდეის განსაზღვრა და სიღრმისეული წვდომა;
- პრობლემის იდენტიფიცირება, სინამდვილეზე დაფიქრება;
- საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ტექსტში წამოჭრილი ძირითადი პრობლემის მიმართ;
- განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.

**მედიაწიგნიერების მიზნები:** კრიტიკული ანალიზი, მედიის მიერ სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება; სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება.

წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ, ვაჩვენე დოკუმენტური ვიდეომასალა „აფხაზეთის ომის უცნობი გმირები“. ვიდეოს ნახვის შემდეგ, მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს:

- რამდენად საინტერესო იყო კადრები?
- დაეხმარათ თუ არა აღნიშნული კადრები ტექსტში აღწერილი მოვლენების უკეთ აღქმაში? რატომ?

**აქტივობა:** ვაჩვენებ რამდენიმე ეპიზოდს ფილმიდან „გაღმა ნაპირი“, შემდეგ პარალელს ვავლებთ ნუგზარ შატაიძის მოთხრობასთან „მოგზაურობა აფრიკაში“ (ვენის დიაგრამა).

**შემდეგი აქტივობა** სქემის შევსებაა: ტექსტი, ფილმის სათაური, გარემოებები, მთავარი პერსონაჟები, პრობლემა (გაჩერებებით სწავლა).

- რის მიღწევა უნდოდა მთავარ პერსონაჟს?
- როგორ გადაწყდა პრობლემა?

საინტერესოა მედიაწიგნიერების გამოყენება ლექსის შესწავლის დროსაც.

ამრიგად, ინტერნეტმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაზარდა. ეს ცვლილება ამ საუკუნის მოთხოვნაა. მართალია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პრობლემა არ არის, მაგრამ პრობლემაა ინფორმაციის იმგვარად ორგანიზება, რომ მისი სასარგებლოდ გამოყენება შევძლოთ და არ მივცეთ საშუალება „ქაოსში მოგვაქციოს“. *„მაგალითად: თუ გუგლის საძიებო ველში ჩავწერთ ინფორმაციით გადატვირთვას – 0,07 წამში 7,3 მილიონ შედეგს მივიღებთ. ჯერ ვერ შეთანხმდნენ, რა უწოდონ ამ მდგომარეობას – მონაცემთა ასფიქსია, მონაცემთა ნისლი, ინფორმაციით გადაღლილობის სინდრომი თუ შემეცნებითი გადატვირთვა“* (ჯეიმ პოტერი).

ინფორმაციის მიღება შეზღუდული არაა. ესეც ერთგვარი უნარია და, როგორც საერთაშორისო კვლევებმა ცხადყო, დიდ ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო ჩართულობაზე. ამიტომ, ძალიან კარგია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (2011 წლის რედაქცია), 9 გამჭოლი კომპეტენციიდან ერთ-ერთი მედიაწიგნიერებაა. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და დამკვიდრებისათვის ცხრავე გამჭოლი კომპეტენციის ფლობაა გადამწყვეტი.

მე უკვე დავრწმუნდი, რომ მედიაწიგნიერება აღარაა გამიჯნული განათლებისგან და შორს გათვლილი გეგმების მიხედვით, შეიძლება სრულად ჩაანაცვლოს სახელმძღვანელოები, მოსწავლეებმა სკოლაში მეხსიერების ბარათებით იარონ, სადაც განთავსდება როგორც შესასწავლი თემები, ასევე შეეძლებათ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციის მედიაწიგნიერებით მოძიება. ამდენად მასწავლებელი მზად უნდა იყოს ამ გამოწვევებისათვის, ამიტომაც ვცდილობ ჩემს საგაკვეთილო პროცესში მედიაწიგნიერების ჩართვას.

დაბოლოს, როცა სწავლა მედიაწიგნიერების ჭრილში მიმდინარეობს, მთავარია დავიმახსოვროთ:

**პირველი საფეხური** – ფაქტისა და მოსაზრებების ერთმანეთისაგან გამიჯნვა და გაფილტრვა;

**მეორე საფეხური** – მოსაზრებების შეფასება;

**მესამე საფეხური** – მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარება სამეცნიეროსთან.

მედიაწიგნიერებით მოსწავლეები შეძლებენ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მულტიმედიური ტექსტების აღქმა-გააზრებას, ინტერპრეტირებას, ინფორმაციის „გაფილტვრას“ და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კრიტიკული აზროვნება ადამიანს ყოველთვის სჭირდება, არ აქვს მნიშვნელობა, რა წყაროს იხილავენ. ინფორმაციას ბრმად არ უნდა ვენდოთ, ყოველთვის უნდა დავსვათ შეკითხვა – ეს სიმართლეა?

მაყვალა ზაქარაძე
*სსიპ თემურ ზაქარაძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი*

*გამოყენებული რესურსები:*
*1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011 წელი;*
*2. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი, 2014 წელი;*
*3. მასწავლებლის წიგნი 2015 წელი, გვ. 169, ავტ. ნატალია ინგოროყვა;*
*4. „ზედმეტი ინფორმაცია“, 2011წელი, ჯეიმ პოტერი, მედიაწიგნიერება;*
*5. საჭირო საგანმანათლებლო რესურსები:*
https://www.youtube.com/watch? v=AV_W2Z2EXx8
https://www.youtube.com/watch? v=Bg59BETZmME
https://www.youtube.com/watch? v=uI5g8Ad6MYc
http://kids.ge/articles/ *ბავშვის უფლებები, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“*
https://www.youtube.com/watch?v=c00SCHqip24
*6. ანიმაციური ფილმი „იცოდე შენი ქვეყნის ისტორია“ (ლეგენდა თბილისის დაარსებაზე)*
https://www.youtube.com/watch?v=0QLdLSW2Exc&feature=youtu.be;
*7. ტელეკომპანია „მაესტროს“ სიუჟეტი „უნიკალური აღმოჩენა თბილისში“. 09.2011.*

ინფორმაცია

# ოქროს რიცხვი

19 მაისს ჩატარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ყოველწლიური კონფერენცია ქიმიაში „ოქროს რიცხვი“, რომლის მიზანი ამ საბუნებისმეტყველო დისციპლინის პოპულარიზაცია გახლდათ.

მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ საზოგადოებისათვის თავიანთი პროექტები წარედგინათ. კონფერენციის ორგანიზატორი საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციაა და მას მხარს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უჭერს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის ფარგლებში, მათემატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საგრანტო ხელშეკრულებები დადო სამ საგნობივ ასოციაციასთან.

ხელშეკრულებების თანახმად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი თითოეულისთვის – „საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია“, „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ და „ასოციაცია ბიოსთვის“ – 65.000 ლარის ოდენობის გრანტს გამოყოფს. გრანტები მოხმარდება საჯარო სკოლების შესაბამისი საგნების მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას. ყოველივე ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მათემატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, გააუმჯობესებს ამ საგნების სწავლების ხარისხს.

გრანტის მიმღები ორგანიზაციების შესარჩევად ჩატარდა კონკურსი. მასში მონაწილეობა შეეძლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც განათლების სფეროში საქმიანობენ.

საგრანტო კონკურსის მოთხოვნები ეფუძნებოდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პროექტის „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება“ ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს და მიზნად ისახავდა პროექტის შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების



დეცენტრალიზაციის მიზანია სწავლა-სწავლების ეფექტიანობის გაზრდა საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განვითარების გზით. ეს გულისხმობს საჭიროებებზე და შედეგზე მაქსიმალურად ორიენტირებული სერვისების მეტ მრავალფეროვნებას, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწასა და სერვისის მიწოდების გზებისა და მიმწოდებლების დივერსიფიკაციას.

ინფორმაცია

# დილიკაურის სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ**, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ აღმასრულებელ დირექტორთან, **მაგდა მაღრაძესთან** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ დილიკაურში, ახლად რეაბილიტირებული სკოლა გახსნა.



250 მოსწავლეზე გათვლილ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში განხორციელდა, რომლის საერთო ღირებულება 1 425 115 ლარს შეადგენს და ყველა თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნას აკმაყოფილებს.

იმერეთის რეგიონში მინისტრის მოადგილე სარეაბილიტაციო სამუშაოებს სოფელ ზედა საქარასა და სოფელ არგვეთშიც გაეცნო. 300 მოსწავლეზე გათვლილი ზედა საქარის სამსართულიანი თანამედროვე სკოლის შენობაში სამუშაოები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მაღალი სტანდარტების სამშენებლო მასალების გამოყენებით ხორციელდება და მისი რეაბილიტაცია 2020 წელს დასრულდება.

გარდა იმისა, რომ სკოლა ადაპტირებული იქნება სსსმ მოსწავლეებზე, შენობაში იქნება ლიფტი, კომბინირებული სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და საბავშვო მოედანი.

მინისტრის მოადგილემ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთაში ის ადგილიც მოინახულა, სადაც,



ახლო მომავალში, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება და ასევე 2020 წელს დასრულდება. 240 მოსწავლეზე გათვლილი ახალი შენობა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით აშენდება და მის მშენებლობაზე 3 655 246 ლარი დაიხარჯება.

სპორტი

# ჭანტურიას მორიგი წარმატება

ძიუდოისტმა **მარიამ ჭანტურიამ** მორიგი სოლიდური წარმატება მოიპოვა, ოღონდ ამჯერად – ახალგაზრდებში: მან ესპანურ მალაგაში ჩატარებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასზე გაიმარჯვა 70 კილოგრამში და თავის კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული მიღწევაც დაიბევა. თუმცა, ეს ჩვენი გუნდის ერთადერთი წარმატება არ ყოფილა – 57 კილოგრამში მესამეზე გავიდა **ეთერ ლიპარტელიანი**.

ესპანეთში ჩვენგან მხოლოდ გოგონების ნაკრები გამოდიოდა, თუმცა მას ნაკრები პირობითად ეთქმის, რადგან მარტო ოთხი სპორტსმენით ვიყავით წარმოდგენილი. ამის მიზეზი ქალთა ნაკრების შეცვლილი გეგმებია. მოგეხსენებათ, აქამდე ჩვენები უფროსთა სალიცენზიო ტურნირებში გამოდიოდნენ და იბრძოდნენ ტოკიოს ოლიმპიადის საგზურებისთვის. განვლილმა შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ ჯერ ისინი მეტისმეტად პატარები არიან უფროსებთან საასპარეზოდ – ევროპის თასებზე, სადაც გაცილებით სუსტი შემადგენლობა იყრის ხოლმე თავს, ურიგოდ არ გამოდიოდნენ, მაგრამ მთავარ ტურნირებზე, წონის ლიდერებსა და საშუალო დონის ძიუდოისტებთან პაექრობაც კი ძალიან უჭირდათ. ამიტომ სამწვრთნელო შტაბმა სალიცენზიო ტურნირებში მათი გამოყვანა ჯერ ნაადრევად მიიჩნია და გადაწყვიტა, აქცენტი ისევ ახალგაზრდულ ტურნირებზე აელო, შედეგად კი გოგონები ისევ თანატოლთა შეჯიბრებებში დაეტვირთა. მალაგაშიც ამიტომ წავიდნენ და წარმატებითაც იჭიდავეს – 4 მონაწილიდან ორმა მედალი მოიპოვა, ერთი, **ნატალია ყიფშიძე** (48) კი მეშვიდე ადგილზე გავიდა. ამ შედეგით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჩვენი ახალგაზრდებისთვის ჯერ მართლაც ნაადრევია უფროსთა შორის ჭიდაობა, რაც ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვების პერსპექტივას გვიმცირებს.

ჭანტურიამ მალაგაში 4 შეხვედრა გამართა და აქედან 3-ში მეტოქედ გერმანელი ჰყავდა. ის, როგორც რეიტინგის ლიდერი, პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ქვეჯგუფში იოლად გაუსწორდა გერმანელებს – **მარაიკე რედიგე** იპონზე დააგდო, ხოლო **ფრედერიკა შტოლზე** არ გამოცხადდა. ნახევარფინალში პორტუგალიელი **ჟოანა კრისოსტომო** დააიპონა, ფინალში კი ისევ გერმანელი **აგნეტა რიკენ მინა** დააგდო ბეჭებზე. თუმცა თავიდან შეხვედრა გერმანელის უპირატესობით დაიწყო, კიდეც აქტიურობდა, თითქოს ტაქტიკურადაც უფრო სწორად ჭიდაობდა და შეხვედრის სადავეებიც იგდო ხელთ, მაჯებიდან რამდენჯერმე კინაღამ შედეგიანადაც გადმოიღო, ჩვენებურს ორი გაფრთხილებაც მიაღებინა და თითქოს გამარჯვებამდეც ბევრი აღარ რჩებოდა, მაგრამ ჭანტურია კარგად იცავდა თავს და მეტოქეს ილეთის გაკეთების საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ, უფრო ძალისმიერი სტილის მოჭიდავე ჩვენებურმა მეტოქე თანდათან დაღალა, რაც გერმანელს შეხვედრის მეორე ნახევარში უკვე აშკარად ეტყობოდა. საბოლოოდ ჭანტურიამ ეს უპირატესობა ილეთშიც გარდასახა, როცა ბოლო წუთზე მეტოქე კარგად გადააგდო იპონზე.

მეორე ევროპული თამაშების ლიცენზიანტმა ლიპარტელიანმა მალაგაში გუშინ იასპარეზა და მხოლოდ ნახევარფინალური შეხვედრა დათმო ფრანგ **ამბრე საბასთან**, ვინც საბოლოოდ ასევე მესამე ადგილზე გავიდა. მანამდე ჩვენებურმა ქვეჯგუფში გერმანელი **მალინ ფიშერი** დააიპონა, დამამშვიდებელში კი ჯერ



შვეიცარიელ **მარიონ ლინგმეს** სძლია ვაზარით, ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობაში უნგრელი **ანდრეა კარმანი** დასცა ბეჭებზე.

მეოთხედფინალში და ასევე ფრანგთან – **ჟადე დესბუსთან** დამარცხდა ნატალია ყიფშიძეც. მანამდე მან პირველ შეხვედრაში ესპანელ **აიდერ ბარეირო ბარანდიარანს** სძლია, შემდეგ კი სანუგეშოშიც მოიგო ერთი შეხვედრა, პორტუგალიელ **ლარა პირესთან**, თუმცა მომდევნო პაექრობაში დამარცხდა ესპანელ **მირეია სალვადორ როდრიგესთან** და მეშვიდე ადგილზე დარჩა.

მალაგაში ჩვენგან **სოფიო სომხიშვილმაც** (+78) იჭიდავა, მაგრამ პირველივე პაექრობა წააგო პოლონელ **კინგა ვოლშჩაკთან**. შემდეგ სანუგეშოში გადავიდა, სადაც პორტუგალიელ **კატია როსას** იპონით კი აჯობა, მაგრამ შემდეგი პაექრობა ისევ დათმო რუს **ეკატერინა შაგაევასთან**.

# 8 მედალი პოლონეთიდან

პოლონურ ბიელსკო ბიალაში დამთავრდა ევროპის თასი ძიუდოში ჭაბუკთა შორის, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ბიჭების ნაკრები გამოდიოდა. მთავარმა მწვრთნელმა, **გიორგი ყიზილაშვილმა,** იქ გაფართოებული შემადგენლობა წაიყვანა – 35 სპორტსმენი, ძირითადად, საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნები. მათ საკმაოდ კარგადაც იასპარეზეს და პოლონეთში 8 მედალი მოიპოვეს: თითო ოქრო-ვერცხლი და 6 ბრინჯაო. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა, საკუთრივ ბიჭებში კი – მესამეზე.




ჩემპიონი **გიზო გუგუნაშვილი** (90) გახდა, **გიგა ტატიაშვილი** (+90) მეორეზე გავიდა, ხოლო ბრინჯაოს მედლებს **ნიკა ბაჩიაშვილი, აკაკი ჩაპურიშვილი** (ორივე – 50), **კოტე კაპანაძე** (60), **გიორგი ტერაშვილი** (66), **ალექსანდრე ლოლაძე** (73) და **ირაკლი დემეტრაშვილი** (+90) დაეუფლნენ.

როგორც ვხედავთ, ჩვენი გუნდი რვა წონიდან უმედლოდ მხოლოდ ორში დარჩა – 55-სა და 81 კილოგრამებში, თუმცა 55-ში **გუგა ამირხანაშვილმა** ბრინჯაოსთვის კი იჭიდავა, მაგრამ წააგო და მეხუთეზე დარჩა.

ისე მოხდა, რომ ყიზილაშვილის შეგირდებმა ორდღიანი ტურნირის თითო დღეს 4-4 მედალი მოიპოვეს, თუმცა ხარისხობრივად უფრო შედეგიანი მეორე დღე აღმოჩნდა, როცა ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო დაისაკუთრეს, პირველ დღეს კი ოთხი ბრინჯაო ჰქონდათ.

ასევე ვხედავთ, რომ ჩვენები ყველაზე მეტი წარმატებით 55-სა და მძიმე წონებში გამოვიდნენ, სადაც ორ-ორი მედალი მოიპოვეს. არადა, შარშან ეს წონა ჩვენი „აქილევსის ქუსლი“ იყო და მთავარმა მწვრთნელმა მთავარ შეჯიბრებებზე სულაც გამოტოვა ის. ახლა აქ, ერთბაშად, ორი მონაწილე გახდა პრიზიორი, თუმცა ცუდია, რომ პოლონეთში ორივე ერთსა და იმავე ფალავანთან – რუსთა მომავალ ფინალისტ **სერგეი მასტრიუკოვთან** დამარცხდა. ბაჩიაშვილი მასთან ერთად მოხვდა ქვეჯგუფში და რუსთან მეოთხედფინალში დამარცხდა, ხოლო ჩაპურიშვილმა ნახევარფინალში წააგო. ჩვენი მედალოსნები საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტები არიან, მათ შორის გამარჯვებული კი ჩაპურიშვილია. ახლა მათ ერთნაირი შედეგით დაასრულეს გამოსვლა, თუმცა იქნებ ჩაპურიშვილის მხარეს მცირე უპირატესობა მისი ნახევარფინალისტობა იყოს. ოღონდ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ, მედლის მიუხედავად, სამწვრთნელო შტაბს იქნებ სულაც არ მოეწონა მათი ჭიდაობის ხარისხი.

მძიმე წონაში დემეტრაშვილი ტატიაშვილთან დამარცხდა. არადა, ისინიც საქართველოს პირველობის ფინალისტები არიან და მაშინ დემეტრაშვილმა მოუგო. ამდენად, ამ წონაში კონკურენცია კვლავაც ძველებურად დაძაბულია, ფინალი ტატიაშვილმა, გერმანიის სახელით მოჭიდავე თანამემამულე, **დანიელ უძილაურთან** წააგო.

გუგუნაშვილმა ფინალი ესტონელ **კარლ პრიილინ ტურკს** მოუგო იპონით, მანამდე კი სლოვაკი **ადამ კოშუტი**, ლიეტუველი **მარტინას პასკევიჩიუსი**, ფრანგი **კევინ ლივესი**, ნახევარფინალში კი კიდევ ერთი სლოვაკი **ბენჯამინ მატასეიე** დაამარცხა. საინტერესოა, რომ ჩვენებურმა ყველა პაექრობა იპონით მოიგო. თან, გუგუნაშვილი საქართველოს ჩემპიონიცაა და დიდი ალბათობით, ამ წონაში კონკურენცია აღარც დარჩა. მით უფრო, რომ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი **თორნიკე ფოლადაშვილი** მეორე შეხვედრაში დამარცხდა და სანუგეშომდეც ვერ მივიდა, მის კვალად კი თავი ვერც სხვებმა გამოიჩინეს.

# ჭაბუკების წარმატება ერევანში

ერევანში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, 2003-2005 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც მასპინძლებისა და რუსეთის გუნდებთან ერთად, საქართველოს ნაკრებმაც იასპარეზა. ჩვენი გუნდი ძირითადად იმ სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, რომლებმაც საქართველოს პირველობაზე 2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის მესამე ადგილი მოიპოვეს. ჩვენმა წარგზავნილებმა ერევანში წარმატებით იასპარეზეს და 19 მედალი მოიპოვეს: 5 ოქრო, 6 ვერცხლი და 8 – ბრინჯაო. 42 კილოგრამში ოთხივე მედალი ჩვენმა მოზარდებმა დაისაკუთრეს.

ჩემპიონები ზესტაფონელი **თენგიზ ხიდაშელი** (42), ახმეტელი **გიგი ოტიაშვილი** (50), მცხეთელი **შოთა მეტრეველი** (60), თბილისელი **დავით არუთინიანი** (81) და ქუთაისელი **გიორგი ტაბატაძე** (+81) გახდნენ.

ამ წონებიდან სამში ქართული ფინალი გაიმართა, ამ სამიდან ორში კი სულაც თანაქალაქელებმა იჭიდავეს დასკვნით შეხვედრაში. 42-ში ზესტაფონური ფინალი ვიხილეთ – ხიდაშელმა თანაქალაქელი **გაგა ჯულელი** დაამარცხა, ხოლო 60-ში ოქროს მედალი მცხეთელების საშინაო დავის საგნად იქცა – მეტრეველმა **დავით გოდერძიშვილს** სძლია. მძიმე წონაში იმერული ფინალი გაიმართა, სადაც ტაბატაძემ სამტრედიელ **გიორგი ხუჭუას** მოუგო. ჩვენს ნაკრებს კიდევ 3 ვერცხლი თბილისელმა **ლაშა სალუქვაძემ** (55), საგარეჯოელმა **გიორგი დურიშვილმა** (66) და მცხეთელმა **ბექა ძაგანიშვილმა** (73) მოუტანეს.

ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: საგარეჯოელი **ნიკა თათრიშვილი**, ქარელელი **ლუკა ნოზაძე** (ორივე – 42), გორელები – **ზურაბ ჭიღლაძე** (46), **ვაჟა ავაზნელი** (60), თბილისელები – **გივი ხოსიტაშვილი** (66), **ანრი ჯიშკარიანი** (73), ახმეტელი **მათე ჩაფურიშვილი** (81) და თბილისელი **ბასა რთველიაშვილი** (+81).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

# თანამშრომლობის ტრადიცია

**თბილისის №172 საჯარო სკოლაში საგნობრივი კვირეულები ჩატარდა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის კათედრის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ღონისძიება შთამბეჭდავი იყო თავისი მასშტაბურობით. კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობის შედეგი გახლდათ სპორტული მიღწევებისა და მხატვრული ნამუშევრების ერთ სივრცეში გამოფენა მუსიკალური გაფორმებით, რომელშიც ჩართული იყვნენ სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეები. მიმდინარე წლის 8 მაისი სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, ლამაზი და შთაბეჭდილებებით სავსე დღე იყო, რომელიც დიდხანს დარჩება მნახველის მეხსიერებაში.**

**საგნობრივი კვირეულები 172-ე საჯარო სკოლაში უკვე კარგ ტრადიციად იქცა. წელსაც, როგორ წინა წლებში, მასწავლებლებს ძალ-ღონე არ დაუშურებიათ, რომ სრულად წარმოეჩინათ აღსაზრდელების ნიჭიერება და შემოქმედებითი საქმიანობა.**

**გვესაუბრება 172-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ქეთევან გონაშვილი**

ყველაფრის სათავე ის უპირობო სიყვარულია, რომლითაც ნებისმიერი მასწავლებელი უნდა იყოს შეიარაღებული, როდესაც სკოლაში სამუშაოდ მიდის. მასწავლებელი უნდა იყოს ხელოსანიც და ხელოვანიც, მხოლოდ მაშინ შეძლებს მიაღწიოს მიზანს – აღზარდოს ღირსეული მოქალაქე, რეალიზებული პიროვნება. ეს ადვილი საქმე არ არის. ამ საქმეს ნებისყოფა, მოთმინება, სიყვარულის უნარი და ესთეტიკურობა სჭირდება. სწორედ საკუთარი მაგალითით უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს, როგორ გამოიმუშაონ ეს უნარები.

ამავე სკოლის კურსდამთავრებული გახლავართ და მეამაყება ჩემი ყოფილი მასწავლებლების გვერდით მუშაობა, რომლებიც იმავე შემართებითა და ენერგიით შრომობენ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბატონი **დალი პაპუაშვილის** ღვაწლი, რომელიც წლების განმავლობაში იყო ხელმძღვანელ პოზიციაზე, შემდეგ დაწყებითი კლასების მასწავლებელი. მის თვალწინ აღიზარდა არაერთი თაობა, რომელთა შორის მეც ვარ. ჩვენი სკოლის მასწავლებლებისთვის ის იყო და დარჩება თანამშრომლობისა და უპირობო სიყვარულის გამცემ მაგალითად. მიუხედავად იმისა, რომ გასულ სასწავლო წელს ღირსეულად დატოვა სკოლა, მუდმივად თვალს ადევნებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. ეს კი ნამდვილად არის თანამშრომლობისა და თანადგომის მაგალითი. პროფესია, რომელიც ქალბატონი დალის ცხოვრების წესია, სამაგალითოდ „გზად და ხიდად“ დაგვიდო, რითაც „სიძნელე გზისა გაგვიადვილა“. მადლი მისი სიყვარულისა უანგაროდ მივიღეთ და ისევე უანგაროდ უნდა გავცეთ. კოლეგიალობის ნამდვილი მაგალითია მისი ყოველი ვიზიტი სკოლაში.

თაობათა შორის წყვეტა არ უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამის მაგალითია სკოლის დირექტორის, ბატონი **დავით ბრეგვაძის** გადაწყვეტილება, მოსწავლეთა ნამუშევრების გვერდით მისი შემოქმედებაც წარმოჩენილიყო. ეს ერთდროულად არის თავმდაბლობისა და თანამშრომლობის გამოვლინება. ვფიქრობ, ამის გარეშე შეუძლებელია ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობა. ბატონი დავითი არის ყველაზე ძლიერი მოტივატორი, მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად აკეთონ ყველაზე რთული საქმე – განავითარონ საკუთარი თავი.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის კათედრის მასწავლებლებს, ქალბატონებს – **ნელი ოდიკაძეს, ლილი სილაგაძეს, ირმა კუხიანიძეს, ცისმარი ბუთხუზს, ქეთევან ყანდაშვილს, ნანული სუხიტაშვილს, თინათინ კაკაშვილს**, რომლებმაც მთელი კვირეულის განმავლობაში, არაერთი ღონისძიებით, ჩვენი რუტინული ცხოვრება ხალისიანი და ლამაზი გახადეს და სასწავლო წლის დასასრულს, ახალი ენერგიით აგვავსეს. სწორედ მათი ძალისხმევით გაიცნო ფართო საზოგადოებამ სკოლის ნიჭიერ მოსწავლეთა – **ნინო კეთილაძის, ანა მელიქჯანიანის, ანა ხუროშვილის, ნინო ელიზბარაშვილის, დეა მუჯირიშვილის, ელენე ჩიტაძის, სანდრო სვანიძის, მარიამ მეხრიშვილის, გოგა ყაჭეიშვილის, სალომე ჩადუნელის, ნატალი ჯიბღაშვილის, მარიამ კოჩალიძის, მარიამ** და **ირაკლი ლომიძეების, ვახტანგ გვრიტიშვილის, ანასტასია ქავთარაძის** და სხვათა შემოქმედება, ასევე **ლუკა გოგობერიშვილის** დიდი სპორტული მიღწევები. ღონისძიებას ამშვენებდა **ნიკა ჯალიაშვილის, დიმიტრი თოდაძისა** და **თორნიკე კურტანიძის** ჟრუანტელის მომგვრელი მრავალჟამიერი.

კათედრის პედაგოგთა მუშაობა მხოლოდ ამ კვირეულის ფარგლებში არ გამოვლენილა, ისინი მუდმივად თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან და მათ არაერთი ღონისძიება გაუფორმებიათ, რითაც ჩვენი სკოლის ურთიერთთანამშრომლობის ძლიერ ტრადიციას განამტკიცებენ.


*ნინო კეთილაძე*


*ნატალი ჯიბღაშვილი*


*ნინო ელიზბარაშვილი*


*ანა მელიქჯანიანი*


*დეა მუჯირიშვილი*



*ლუკა გოგობერიშვილის პრიზები*


*ანა ხუროშვილი*



ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი